

ଯୁଦ୍ଧବିଜ୍ଞାନବିଦୀର ମହାନଙ୍କଳିତ ଡା. ଫର୍ଦୁଲାହାର ଶିରୀର.

446. —————— 321. ୩.
J.


ଏକବିସତିବୀନଗନ୍ଧୀ ଏ ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀ ରାମପଣ୍ଡିତଙ୍କୁ

୩.

ଶ୍ରୀରାମପଣ୍ଡିତଙ୍କୁ ଶ୍ରୀ ଶରୀରକୁ ପାଇଁ

38.

ରାମପଣ୍ଡିତଙ୍କୁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ



ଶ୍ରୀ ରାମପଣ୍ଡିତଙ୍କୁ ପାଇଁ
ଓରାଦିଲେ ଏ ମାର୍କ୍ସିଜିନ୍ ଲିବ୍ରାରୀ
1907

* 18 Июля 1907 г. печатать разрѣшаю Еп. **Леонидъ.** *

პ.

ქრისტიანობა და დემოკრატია.

I.

საკითხი, რომელსაც აქ განვიხილავ, არა იმ გვარია, რომ მის მნიშვნელობას ესაჭიროებოდეს მტკიცება. დღეს ამ საკითხით გართულნი არიან არა მარტო სწავლულნი და ფილოსოფოსნი, არამედ პოლიტიკოსნიც და სოციოლოგნიც.

ჩემი გამოკვლევა აღნიშნული საკითხის უმთავრესი მხარეებისა იქმნება დამოუკიდებელი შეოლათა ცრუ მორწმუნებისა და პარტიათა ინტერესებისაგან.

ქრისტიანობა არის რჯული, რომელიც ასულდგმულებდა დასავლეთის ცივილიზაციას და განაგებდა თანამედროვე ხალხთა განათლებას, ამასთან ერთად დემოკრატიაც ხომ დიდი პოლიტიკური და სოციალური ძალაა, რომელიც თავის მხრივაც ცდილობს დაიპყროს ქვეყანა, განაახლოს და გადაქმნას იგი, და ნუთუ მათ შორის აუცილებელია გამწვავებული მტრობა?

სხვა და სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, ახლა ქრისტიანობა და დემოკრატია ერთონ შორის იბრძვიან. მს ბრძოლა არ ახალია, შეცდომა არ იქმნება ვსოდეთ, რომ ბრძოლა დიდი ხნის დაწყებულია, მხოლოდ იგი საყოველთაო არაა.

დემოკრატიის და ქრისტიანობის შორის ბრძოლით გარე მოცულია მთელი მეცხრამეტე საუკუნე; შესაძლოა, აღნიშნული ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის დამახასიათე-

ბელ თვისებაოაც ჩავსთვალოთ. ნამეტურ უკანასკვნელ ასი წლის განმავლობაში მთელ ევროპაში განუწყვეტლად გაისმოდა ამ შეჯახების გრიალი. სად არის მიზეზი ამ ბრძოლისა? მუდმივია იგი? ორ მოწინააღმდეგეთა შორის უთანხმოება პირდაპირი შედეგია მათი არსებისა, ერთი მხრით ქრისტიანობის ძირითადი ცნებისა და მეორე მხრით დემოკრატიის საჭიროებისა? თუ, წინააღმდეგ, ის დამოკიდებულია ადგილობრივ გარემოებებზე, ისტორიულ მიზეზებზე, რომლებიც მუდამ ცვალებაღნი არიან და რომელთაც სრულიად გაქრობაც აღვილად შესაძლოა? სხვებრ რომ ვსთვათ, ნუ თუ იმდენად ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს ქრისტიანობა და დემოკრატიის დოლმა, რომ მათი შეთანხმება უნდა ჩავთვალოთ განუხორციელებელ ოცნებად და ამიტომ აუცილებელია ამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის ერთ ერთის არჩევა?

შეიძლება, ფიქრობენ, რომ, როცა ქრისტიანობაზე ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ უძველეს, უძლიერეს და თეთი მრავალ რიცხოვან რომის ეკკლესიას. მს მთლიად ეგრე არ არის. დიალ, უმთავრესად ბრძოლაა კატოლიკეთა ეკკლესიის და დემოკრატიის შორის, მაგრამ შეცდომა იქმნება, ვიფიქროთ, რომ თანამედროვე დემოკრატია ერტვის მხოლოდ კატოლიკეთა ეკკლესიას. არა, ბრძოლას სრულიად სხვა აზრი აქვს. მართალია, რომის ეკკლესიის მოწინააღმდეგეთ სურთ თავისი მახვილი მოიმარჯვონ მხოლოდ რომის წინააღმდეგ; მაგრამ უკანასკვნელი წლების ისტორიის განხილვა ცხადად გვიჩვენებს, რომ დემოკრატიის მეთაურთავან კატოლიკეთა ეკკლესიის წინააღმდეგ მოქნეული მახვილი წარემართება რომელ უფრო შორს, ვატიკანზე და პაპის სამკუთხოვან გვირგვინზე

უფრო მაღლა; ვიტყვი უფრო აშკარად, ის მიმართულია სარწმუნოების და თვით ღვთის წინააღმდეგ.

შენიშვნა პირველი: ქრისტიანობის და დემოკრატიის შორის ბრძოლა ყოველთვის და ყოველგან არ ყოფილა. თუ ფაკტებს გამოვიყვლევთ, — და ეს კი ჩვენი პირველი მოვალეობაა, — ვნახავთ, რომ ბევრ დროს — საშუალ საუკუნოებშიაც და ახალ დროშიც ზოგიერთ ქვეყნებში დემოკრატია ქრისტიანობასთან და კატოლიკობასთანაც კი შეთანხმებით სცხოვრებლა, ქრისტიანეთა ეკალესიების მუარველობას ქვეშ ვითარდებოდა და ყვაოდა. რადგანც ეს ფაკტი ხშირად ავიწყდებათ, მაგალითად მოვიყვან შვეიცარიის კანტონებს (ოლქებს), რომელნიც წარმოადგენენ უძველეს დემოკრატიას ევროპაში, და განსაკუთრებით იმ ოლქს, საუაც დაიბადა ვილგელმტელის შესახებ თქმულება — პირველ ყოფილ კანტონებზე, რომელნიც მდებარეობენ ლიუცერნის ტბის ნაპირებზე. მს ოლქები მთლად კატოლიკეთა ქვეყნებია და მასთან ერთად სრულიად დემოკრატიულია. შეიძლება ითქვას, რომ აქ არის უსრულესი სახე დემოკრატიისა, როგორსაც კი ვიცნობთ. მე არ ვიცი, ევროპაში მარც, რის შედარება შეიძლება მასთან. როგორც ჩვეულებებით, ისე დაწესებულებებით ეს ოლქები უნდა ვიცნოთ უკიდურეს დემოკრატიულ ქვეყნებად. მს არის რეჟიმი (სახელმწიფოს წესწყობილება) ნამდვილი დემოკრატიისა.

თუ საშუალ საუკუნოებს გადავავლებთ თვალს და გადავივლით ალპის მთებს, ჩვენ ვნახავთ იტალიაში, განსაკუთრებით კი ფლორენციაში, დემოკრატიას, რომელიც განვითარდა ქრისტიანობასთან თანხმობაში და არა მასთან ბრძოლაში.

შანა შეიძლება ფლორენციის სავონაროლოს დავი-
წყება?

ფლორენტიის რესპუბლიკა დიდ ხანს არ ყვაოდა; მის თაგულიდგან მალე იქმნა ამოგლეჯილი წითელი შროშანი; მაგრამ ფლორენციაში მაინც დიდ ხანს არსებობდა დემოკრატია, და დემოკრატია უკიდურესი. გავიხსენთ, რომ სავონაროლოს დროს წერიების მიერ ძალ-მომრეობითა მართველობის განახლების წინააღმდეგ, რომელმანც (ძალმომრეობით. მართველობამ) დომინიკანთა მღვდელ-მონაზონი კოცონზე შეიყენა, რესპუბლიკის მოსარჩევე დემოკრატებმა ხალხის თავისუფლების გამომხატველის, კომუნის სასახლეს გაუკეთეს წარწერა: *Christus rex florentini populi* „ქრისტე არს მეფე ფლორენტიის ერისა“. მგეთი ზედწაწერით სავონაროლა და მისი მეგობრები მიისწრაფებოდენ აჯედგინათ დემოკრატიული თავისუფლება ძველი ტოსკანიის ქალაქისა. ამ გვარას ჩვენ ვხედავთ, რომ არა ყოველთვის არსებობდა განხეთქილება დემოკრატიისა და ქრისტიანობის შორის, დემოკრატიისა და ქრისტიანეთა ეკკლესიის შორის, რომელიც თავისი მოწინააღმდევებისაგან ითვლებოდა ყველაზე ნაკლებ მწყალობლად დემოკრატიისა—ე. ი. კატოლიკეთა ეკკლესიის შორის. თუ ძირითადი ცნება (იდეა) დემოკრატიული რეჟიმისა, იდეა თანასწორობისა და იდეა ძმობისა თავის-თავად სრულიად არ ეწინააღმდევებიან ქრისტიანულ სწავლასა. პირიქით, შეიძლება, ვსოდეთ, რომ მხოლოდ ისინი არიან სახარების სწავლის თანხმანი. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ჩვენი ისტორიკოსნი და ფილოსოფოსნი მივიღნენ იმ დასკუნამდე, რომ ფესვი ამ ორი დიდებული ცნებისა—თანასწორობისა და ძმობისა, რომელიც შეი-

თვისა დემოკრატიამ, ძევს ქრისტიანობაში.

განა ძნელი დასამტკიცებელია ის, რომ სახარება კეთილ განწყობილებით ეკიდება დემოკრატიას? საკმაოა, მხოლოდ გადავშალოთ ეს საღვთო წიგნი, თვალი გადავკრათ რავდენიმე თავს, რავდენიმე მუხლს და დავრწმუნდებით, რომ ის სავსეა კეშმარიტი დემოკრატიული მოძღვრებით, თუ ამ მოძღვრებად ვიგულისხმებთ თანასწორობას და ძმობას. ჩვენ ვხედავთ, რომ დემოკრატიული მისწრაფებანი გამეფებულია ყველა იმ ერთა შორის, რომელნიც სუდილობენ მოაწყონ თავიანთი მართვა გამგეობა და კინონ-მდებლობა ქრისტიანობის შესაფერად და სახარების თანახმად. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ისტორია ახალი ინგლისისა და ინგლისის ახალ შენებისა, რომელთაგან წარმოდგა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. სახარება იყო აკვანი დიდებულ ამერიკის რესპუბლიკისა, რომელიც დღემდისაც თვალ საჩინოდ ამტკიცებს, რომ შესაძლოა იარსებოს და ალყვავდეს დიადი დემოკრატია ქრისტიანობასთან ერთად. დემოკრატიის იდეა ამერიკაში იშვა და აღიზარდა ქრისტიანობის მფარველობის ქვეშ. მ.ნ ამოკრიბა მთელი თავისი ძალა ქრისტიანეთა წიგნთაგან, ანუ უურო სწორედ რომ ვსოდეთ, —ებრაელ-ქრისტიანეთა წიგნთაგან,— რადგანაც ფესვები ამერიკულ დემოკრატიისა არა მარტო სახარებაში, არამედ, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ებრაულ დაბადებაშია; ერთი სიტყვით ამერიკულ დემოკრატიას ფესვი უდგია საღვთო წერილში და სარწმუნოებრივ გრძნობაში. ამერიკის მწერალნი, როგორც მაგალითად, ოსკარ სტრაუსი, ამტკიცებენ რომ თვით შტატების მოწყობა მოხდა ისრაელთა თორმეტი ტომის მაგალითის და მსაჯულთა დროის

მოგონების ზედ გავლენით. ასე, მე უფლება შაქვს ვსთქვა, რომ დემკრატიისა და ქრისტიანობის შორის განხეთქილება თავვაღუალი და აუცილებელი ფაქტი არაა, რომ ეს განხეთქილება სრულებითაც არ არის არც ქრისტიანობის, და აჩც დემოკრატიის არსებითი თვისებების შედეგი: ეს განხეთქილება თან ახლდა მხოლოდ ზოგიერთა დროისა და ქვეყნის ქრისტიანობას, როგორც იგი თან ახლავს თანა შედროვე დემოკრატიას და კერძოდ ევროპიულს.

რაში მდგომარეობს ის მიზეზი ამ დიდი ბრძოლისა, რომელმანც გასტანა მთელი მეცხრამეტე საუკუნე? მე ვკონებ, რომ ეს მიზეზი უნდა ვეძიოთ ახალ ევროპიულ დემოკრატიის წარმოშობაში, მის დასაწყისში და ისტორიაში.

შველა ეს მიზეზები გამოიწვია ორგა უმთავრესმა გარემოებამ: ერთი მხრით, ახალი დემოკრატიის წარმოშობაში, ქვეყანაზე მისი გაჩენის ხასიათმა; მეორე მხრით, ქრისტიანეთა ეკკლესიების და მათ კრებულთა მიერ ამ დემოკრატიის შეხვედრის ხასიათმა.

II.

საიდგან წარმოსდგება ევროპიული დემოკრატია? ის წარმოსდგება საფრანგეთის რევოლიუციისაგან; საფრანგეთის რევოლიუცია? მეთვრამეტე საუკუნიდგან და იმავე საუკუნის ფილოსოფიისაგან. რა ხასიათისა იყვნენ მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიის ძირითადი ცნებანი და მისი მიმართულების მაჩვენებელი იდეიები? გავიხსენოთ, რომ ესენი იყვნენ იდეიები არსებითად რაციონალურნი ე. ი. დამყარებულნი ჭუუა-გონების მსჯელობაზე და იმავე

დროს არსებითად მტრულნი გადმოცემისა და ყოველი ტრადიციისა. ჩვენი დიდი კრიტიკოსი ფაგე სწერდა, რომ მეთვრამეტე საუკუნე არც ფრანგული იყო და არც ქრისტიანულიო. ვაგეს აზრი საქვაოდ მართალია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ფილოსოფო!ნი, თვისდა მიუხედავად და, შეიძლება, უნდა ურადაც სწერდენ და მ! ჯელობდნენ უფრო ფრანგულად და ქრისტიანულად, ვინემ მათ ეკონათ.

ასეა, თუ ისე მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფია შანაარსითაც და მისწრაფებითაც, ცხადია, მტერი იყო ქრისტიანობისა, და მტერი, არა მარტო ერთი რომელიმე ქრისტიანულ ეკულესისა, არა მარტო კატოლიკობისა, არამედ მთელი ქრისტიანობისა. მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსნი, განსაკუთრებით ენციკლოპედისტები, ხედავდნენ ქრისტიანობაში და საზოგადოდ ყველა დაწესებულ რჯულში მხოლოდ მოწინააღმდეგეს, მხოლოდ დაბრკოლებას იმ გზაზედ, რომლითაც მათ უნდოდათ წაეყვანათ საფრანგეთი და კაცობრიობა. ამ სახელმოვან მწერლებს, რომელნიც გულწრფელად იყვნენ გატაცებულნი კაცობრიობის წინმსვლელობის ახალი იდეით, აკლდათ ერთი რამ ძლიერ საჭირო: შეგნება რჯულისა და სარწმუნობრივ გრძნობისა. მათ არ ესმოდათ არც ქრისტიანობა, არც სჯულიერი სარწმუნოება; ი!ინი არ სცნობდნენ არც მის ზნებრივ ფასს, არც საზოგადოებრივ საჭიროებას. მათი შეხელულობით ყოველი რჯული, მათ შორის ქრისტიანობაც, იყო საქმე პოლიტიკისა, მეფეებისა და სამღვდელოებისა. ხალხთადმი ჩაგონებულ დოლმატებს ქონდათ მიზნად მისი (ხალხის) მოტრილებაში და მონებაში ყოლა. მეფეები და მღვდლები, რომელთაც გაშოიგონეს

და ფორმა შეასხეს ამ დამამონავებელ დოლმატებს და ხალხს ასწავლეს, მათი აზრით, არიან მატყუარები და სხვა არაფერი, ასეთი იყო მეთვრამეტე საუკუნის ცველა ფილოსოფოსთა შეხედულება, ვოლტერიდგან დაწყებული თავისი — „მაჰმადით“. ახლა ამ მოუფიქრებელ შეხედულებას არ თანაუგრძნობს არც ერთი კაცი, რომელსაც კი ისტორია ესმის. ის უარყოფილია მეცხრამეტე საუკუნის ცველა მთაზრეთგან, მიუხედავად მათი მიმართულებისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ არავის არ შეურაცხვყოფ, როცა ვამტკიცებ, რომ ეს შეხედულება ტყუვილია, ბავშურია, რომელიც გვეჩვენება ჩვენ რაღაც დაძველებულად, ხმარებიდან გამოსულად, და რომელიც ვერ პოვებს მომხრეებს განათლებულ წრეებში. მაგრამ ეს ბავშური, დაძველებული შეხედულება მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიიდგან სწორედ იმიტომ შევიდა და გავრცელდა ხალხთა შორის, რომ ის არია მარტივი და მეტადაც მარტივი; თუმცა ის უარ ყოფილია ცველა განათლებულ კაცთაგან, ის კიდევ ხშირად შეგვავდება ნახევრად განათლებულ კაცთა შორის, რადგანაც ნახევრად განათლება წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს ყოველ გვარ შემცდარი აზრებისა და სოფიზმების შესათვისებლად რაღვანაც სამწუხაროდ პარტიათა შორის ცილობას ის არ აქვს მიზნა, რომ ხალხის გონებრივი და ზნეობრივი შეგნება ასწიოს მაღლა, ამიტომ ასეთი შეხედულების არიან ის პირნი, რომელნიც პარტიული მიზნით გატაცებულნი თავისს მოვალეობად სთვლიან სარწყუნოების გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას, ის მწერლები და ორატორები, რომელთაც პარტიული მოსაზრებით სასირცხოთ არ მიაჩნიათ ამტკიცონ, ვითომც სარწყუნოება მოტყუების სისტემა იყოს,

ვითომც მღდლები ხალხის მტრები იყვნენ და ხალხის დამონავებას ცდილობდნენ. პი, ერთი მიზეზთაგანი დემოკრატიისა და ქრისტიანობის შორის განხეთქილებისა, დემოკრატიის და რჯულის იდეას შორის უთანხმოებისა. ჩვენი დემოკრატიის მეთაურების და მათი რაზმის უმეტესობის აზრით რჯული არის მხოლოდ გონებრივი ჯაჭვი განზრახ გაქედილი ხალხის დასამოჩილებლად. პმისათვის ხალხის, მისი გონების და სინიდისის განსათავისუფლებლად საუკეთესო, ერთად ერთ საშვალებად მათ მიაჩნიათ ამ ჯაჭვის დამსხვრევა ე. ი. გაქელვა რჯულისა და დახშვა სარწმუნოებრივ შევნებისა.

მეორე მიზეზი ქრისტიანობრივ და თანამედროვე დემოკრატიის წავლათა შორის განხეთქილებისა, მიზეზი ეგრეთვე ისტორიული — ეს ის სახე, ის თვისებაა, რომლითაც რჯული ეჩვენებოდა რევოლუციის სულის ჩამდგმელებს, ანუ მათ მემკვიდრეებს. როგორ ეჩვენებოდა რჯული მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიას და 1789 და 1793 წლების მამქმედ პირთ? სარწმუნოება ეჩვენა მათ, როგორც სახელმწიფო დაწესებულება შეკავშირებული ყველა მონარქიულ და არისტოკრატიულ იმ დროის დაწესებულებებთან. ახალ სწავლის მიმდევართა უზრავლესობამ ამის გამო შეხედა რჯულს, როგორც ძველი რეჯიმის საფუძველს, როგორც მის სიმაგრეს. შველა სახელმწიფოებში რჯულს ეჭირა ოფიციალური ადგილი, ფორმით ის წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ეკალებისას, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული საერო უპირატესობანი. მს ყოველთვის ერთი და იგივე ეკალესია არ იყო, მაგრამ ყოველგან იყო სახელმწიფოებრივი ეკალესია, რომელსაც ხშირად ჰქონდა მინიჭებული რაღაც

სასულიერო მონოპოლიის მსგავსი. ეკულესია შეადგენდა მას, რასაც ინგლისელები უწოდებდნენ Establishement, ე. ი. სახელმწიფო დაწყებულება, რომელიც სარგებლობდა სხვა და სხვა უპირატესიბით და, ჩვეულებრივ ნამდვილი მასდამი ზიქუთვნილ უფლებებით. რევოლუცია არღვევდა წინანდელ წე' წყობილებას, — ის სდევნიდა ყოველგვარ განსაკუთრებულ მინიჭებულ უფლებებს: საკვირველი არ არის, რომ რევოლუციამ ყოველივე ეს ეკულესია, აც და სარწმუნოებასაც წაართვა.

რევოლუცია ქრისტიანულ დოლმატებში თუ არა, ქრისტიანეთა ეკულესიაში მაინც, ხელავდა თავისს მოწინააღმდეგებს და არა შემწევებს.

სამღვდელოება, საფრანგეთიდგან დაწყებული თითქმის ყოველგან, შეადგენდა პირველ ხარისხთვან წოდებას სახელმწიფოში. ცხადია, მას არ შეეძლო გულგრილად მოკიდებოდა არსებული წე' წყობილების დამხებაა, რაღაც აც ამით ირღვეოდა მთელი მისი ნივთიერი და ზნეობრივი მდგომარეობა, მით უმეტეს რომ რევოლუციამ არ იქმარა საეკულესიო ქონებათა ხელში ჩაგდება და კიდევ სცდოლობდა სამღვდელოება სამაქალაქო რიგზე მოწყო.

ამ გვარად, გასაკვირველი არ არის, რომ კატოლიკეთა ეკულესია, ქრისტიანეთა ეკულესიები, რომლებიც შეადგენდნენ ძველი რეჟიმი, ერთ ნაწილთაგანს და ხშირად უმთავრეს ნაწილთაგანს, მოწყალე თვალით არ უცქეროდენ რევოლუციას, რომ ისინი ეჭვით ეკიდებოდნენ ახალ იდეებს, რომ დემოკრატია მათ მიაჩნდათ მოწინააღმდეგებ, რომელიც ეკულესიისა და თვით რჯულისათვას ყოველთვის საშიში და არა საიმედო იყო.

ამ გვარად, ბრძოლა ორივე მხრიდგან ერთბაშად

გაჩალდა. დემოკრატიის და რევოლუციის მომხრეებს ეკულესია მიაჩნდათ დაბრკოლებლად, ძველი რეუიმის, ძველი მონარქისტების და არისტოკრატიის ძალთა მოკავშირედ; და, თავისს მხრით ეკულესიები, სამღვდელოება, მორწმუნენი, ნამეტურ უფრო გულს მოდგინენი მაინც, რევოლუციას, რომელიც ახორციელებდა დემოკრატულ მოთხოვნილებებს, სთვლიდნენ მტრად, რომელთანაც შეთხნება შეუძლებლად მიაჩნდათ. ბრძოლა დაიწყო ორივე მხრიდგან და გაგრძელდა რევოლუციის შემდგომაც ის განახლდა დროებით შერიგების შემდგომ, რომელიც მოახდინა ნაპოლეონ I. თავისუფლების აღდგენის დროს ეკულესიამ ხელახლად მოიკრიბა თავისი ძველი ძალები; ის იმედოვნებდა აღდგენილ ტახტის აჩრდილის ქვეშ ხელახლად მიეღო თავისი ძველი უფლებები და უპირატესობანი. ის, რაც მოხდა საფრანგეთში, მოხდა ევროპას, სხვა ქვეყნებშიაც, თუმცა ნაკლებ შესამჩნევად. მეხრამეტე საუკუნის დასაწყისში ეკულესის, რელიგიურ იდეების შესახები თვით იგივე ბრძოლა იყო, როგორც ახლა, მხოლოდ ცოტა ოდენი ცვლილებით. ეკულესის ზოგიერთნი თავს ესხმოდნენ, როგორც ზღუდეს, ზოგნი იფარავდნენ, როგორც რევოლუციის წინააღმდეგ სიმაგრეს. სარწმუნოება ჩაიყოლის პოლიტიკურ შეტაკებაში, პარტიითა ურთიერთ შორის ბრძოლის კვეთება მას ეცეშოდა და ის შეიქმნა მათი მსხვერპლი. საქმე თან-და თან მწვავდებოდა მოღავეთა მოქმედების გამო, ერთი მხრით დემოკრატიის ბელადები, რომელთაც თავი თვისი მიაჩნდათ საზოგადოების განმაახლებლად, მეტად ფიცხობდნენ; მეორე მხრით ეკულესის წარმომადგენელნი, რომელთაც თავი მოქმნდათ ჭეშმარიტი ქრისტიანული

სარწმუნოების და გადმოცემის დამცველად, ხშირად წინ-დაუხედავად მოქმედებდნენ. როგორც ოდესლაც სწერდა ფალლუ, კატოლიკეთა ეკკლესია იყო ჩაყენებული უხერხულ მდგომარეობაში იმ თავისს დაცულთა უკიდურე-სობით, რომელთა უგნური გულს მოდგინება არ შეუშინ-და შეეკავშირებია სარწმუნოება კონტრ-რევოლიუციასთან.

მრთმა გარემოებამ იქონია დიდი გავლენა ბრძოლის განგრძობაზე და გამწვავებაზე. მრთი შეხედვით ამ გარე-მოებას ჰქონდა მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნე-ლობა საფრანგეთის ისტორიაში, ნამდვილად კი ეს მნი-შვნელობა მეტად დიდი იყო. მე ვგულისხმობ რომის პაპის საერო უფლებას. პაპობა მარტო კათოლიკეთა ეკელე-სის თაობას როდი ნიშნავდა, პაპებს ჰქონიათ საერო უფ-ლებებიც; ისინი იყვნენ მეფეები მეფეთა შორის. აი სწორედ, პაპის ეს საერო ტახტი იყო ერთი იმ საგანთაგანი, რომელსაც ყველაზე უფრო თავ-გამოდებით, ყველაზე უფრო ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ახალი იდეები. მს საბრალო საერო სახელწიფო უმთავრესად ამოილო ნიშანში რევოლიუციამ, მით უმეტეს, რომ დემოკრატიის მომხრეთა თვალში მისი არსებობა სრულიად არაფრით არ გართლდება: საერო და სასულიერო უფლებების შეერთება ერთ და იმავეს ხელში ეჩვენებოდა მათ უკანონობად და ანახონიზმად (საქმედ, რომელიც არ შეეფერებოდა დროთა მოთხოვნილების სწავლას). ვაქტები ერთად და რიგზე რომ განვიხილოთ, დაერწმუნდებით, რომ სწორედ ამ საერო უფლებათა გამო ბრძოლა იყო უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ასე დიდ ხანს ხელს უშლიდა ეკკლესიის დემოკრატიულად გადაქმნას. ამიტომაც ცხადია, რამ შეაცვლევინა პიო IX, რომელიც წინეთ მეგობრულად ეპყრობოდა დემო-

კრატიას, თავისი პოლიტიკა 1848 წლის შემდეგ. პაპა ლეონ XIII თვითონ რად მიეგება მეგობრულად დემოკრატიას და მუდამ ამტკიცებდა, რომ დემოკრატიის და კატოლიკეთა ეკკლესიის შორის ერთობა სრულიად შესაძლოა? ეს უმთავრესად იმიტომ, რომ პაპების საერო უფლება უკვე დამხობილი იყო, და ამიტომაც ლეონ XIII არ სცნობდა საჭიროდ დაეცვა ის დემოკრეტიისაგან.

მართლადაც, ეჭვი არ არის, რომ ადრე თუ გვიან, ქრისტიანები, განსაკუთრებით შეეცდებიან დაჯერონ ხალხი, რომ ეკკლესიას და დემოკრატიას სრულიადაც არ არგუნა ბედმა შეურიგებელი მტრობა. ამ აზრისა იყო ბევრი მათგანი, მაცალითად ლამენნე, მაგრამ რადგანაც ლამენნე იცავდა მას ამპარტავნული სიფიცხით და თავ-გამოდებით, რადგანც წინ გაუსწრო თავისს ისტორიულ ხანას და შეეჯახა რომის იჭვიანობას, რომელიც იყო აღძრული პაპების საერო უფლების გამო ბრძოლით, ამის-გამო ის იყო რომის მიერ თავ დანებებული და განკიცხული. მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდგომ ლეონ XIII აღიარა, რომ ახლა კი დროა ეკკლესიამ გადაწყვეტით ხელი გაუწოდოს ახალი დროის დემოკრატიასათ, და ეს ჰქმნა მან სისწორით და თავგამოდებით, რომელზედაც ცილ-ობა შეუძლებელია. ჩვენ არ შეუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენათ სამჯობინო იყო ეს კეთილშობილური ცდა.

ჩვენთვის საქმაოა, რომ წმინდა კათედრამ თამამიდ გამოაცხადა, რომ კატოლიკობა მტერი არ არის ხალხის მისწრაფებისა, რომელსაც აღიარებს დემოკრატია. პაპა ლეონ XIII მუდამ ცდილობდა ეჩვენებინა ხალხთათვის, რომ ეკკლესია სრულიადაც არაა მტერი დემოკრატიული მისწრაფებისა, პირიქით თვითონ სულდგმულობს დემო-

კრატიული გრძნობებით. მართალია, ლეონ XIII ამგვარი თავისი პოლიტიკით არღვევდა თავისს წინამოადგილეთა ტრადიციებს, სამაგიეროთ ის მხარს უჭერდა ძველი დროის პაპების მიმართულებას. ამ შემთხვევაში ლეონ XIII იყო უფრო ძველი მ-მართულების აღმადგენელი, ვიდრე ნოვატორი (ახლის შემომღები). ის, რომ ვსოქვათ, ანახლებდა ძველი დროის ჩვეულებებს, რადგანც ძველად და განსაკუთრებით საშეალო საუკუნოებში, პაპები საერთო მთავრებთან ბრძოლაში დემოკრატიაზე ემყარებოდნენ, რაშიდაც მათ ხელს უწყობდა მათი კავშირი ველფების თემებთან.

რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ეამად საქმე? პაპა ლეონ XIII—მ, ბევრ მიზეზთა გამო, ვერ მოასწრო იარაღი დაეყრევინებინა თავისს მოწინააღმდეგეთათვის. მგეთი დიდი ხნის და ეგეთი სასტიკი ბრძოლის შემდგომ, ერთი სიტყვა მშვიდობისა, როგორი თიმაღლიდანაც უნდა ჩამოდიოდეს ეს სიტყვა, არ კმარა იმისთვის, რომ იარაღი დააყრევინო; აქ სხვა რამაა საჭირო. უწინარეს ყოვლისა აქ საჭიროა დრო, ხოლო დრო აქნამდის არ იყო. ბრძოლა კიდევ გაგრძელდება და საკითხია: ამ ორ მოწინააღმდეგეთაგან რომელი უფრო იჩენს ჯიუტიობას? ნუ თუ ქრისტიანები, ნუ თუ კატოლიკენი განაგრძობენ, გაიძახიან, რომ რჯულის და დემოკრატიის შორის მშვიდობიანობა შეუძლებელია? რომელ ველზეა ბრძოლა? ვისი მხრიდგან ისმის ბრალდება?

უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ შემთხვევაში რომი, სწავლულნიდა დვთის მეტყველნი, მღვდელნი და უმაღლესი სასულიერო პირნი, ქრისტიანობის ეს ნამდვილნი წარმომადგენელნი არაფერ შუაში არიან, ისინი არ გმობენ

დემოკრატიას. პირიქით უკიდურესი დემოკრატია, ის კაცები, რომლებიც თავ მოწონებით ჩემულობენ წმიდა დემოკრატიულ სწავლის შეთაურობას, სცდილობენ დედა მიწიდგან აღგაონ ქრისტიანობა და ეკკლესია, ისინი გადამეტებული კადნიერებით გაიძახიან, რომ ყოველივე შეთანხმება ქრისტიანულ სწავლისა და დემოკრატიის შარის-აუსრულებელი ოცნებაა. რატომ არ შეიძლება შეთანხმება? რა უფლებით ბედავენ უწოდონ მას უტოპიად?•

რა პასუხს იძლევა ამ კითხვებზე დემოკრატია, რომლის ზოგი იდეები შეწყნარებულია ქრისტიანობისაგან, ჯ სხვები კი სრულიად ეთანხმებიან სახარებას, ან არ ეწინა- დ აღმდეგებიან მას?

ამ იდეებთა შორის პირველია თანასწორობა. თანას- წორობას, როგორც მე წინეთ ვამბობდი, თავისი ღრმა ფესვები გადგმული აქვს სახარებაში. მე ყოველთვის მაკვირვებდა არა ის, რომ დღეს ქრისტიანები აღიარებენ თანასწორობას სახარების სწავლად, არამედ მაკვირვებს ის, რომ ამ აზრის გასაგებად შეიქმნა საჭირო ამდენი დრო, მაშინ როდესაც ამისთვის საკმაო იყო მხოლოდ სახარების გადაკითხვა. ჩვენ ყველას უნდა გვიკვირდეს, რომ თესლი თანასწორობისა, რომელიც ინახებოდა სახარებაშიც და დაბადებაშაც, არ აღმოცენდა წინეთ, საუკუნეების განმავლობაში.

ცხადია, ეს აისნება შრავალი. მიზეზებით, მაგრამ უფრო მით, რომ ქრისტიანული იღება ფრჩს დროს არ იყო უფალი და მბრძანებელი ქვეყნისა. შვეიცარიას, რომელ- საც ჩვენ, შეიძლება, შეცდომით ვეძახით ქრისტიანულს, განაგებდნენ სხვა ძალები: ხან რომის უფლება, ხან

გარბაროსთა დაპყრობა, და ანარქია, ხან ფეოდალიზმი და ხრმლის უფლება, ხან ეხლანდელი დიდი მონარქიები და ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია. პრაოდეს ქრისტიანული სწავლა არ ყოფილა სრულიად თავისუფალი, არ ყოფილა შბრძანებელი ქვეყნისა. სახარების უველა თესლებს, რომ შეიძლებოდათ აღრჩდა სრულიად ქრისტიანულ ჰაერზე, მაშინ თანასწორობა და დემოკრატია უკვე დიდი ხანია აღმოცენდებოდნენ სახარებიდგან და ქრისტიანობიდგან იმ ფორმით, რომელიც სრულიად არ ემსგავსებოდა ახლანდელს.

ჭიდევ უფრო მეტი უფლებით შეიძლება იგივე ითქვას ძმობის იდეის შესახებ, რომელიც შეადგენს ქრისტიანობის არსებით აზრს, რომლის გასავრცელებლად, როგორც სახარების იდეისა, მიისწრაფოდენ ქრისტიანეთა უველა დროის ეკკლესიები. შემიძლია ვსთქვა, რომ უფლების გაუქმება არის მხოლოდ შედეგი, არის მხოლოდ პრაკტიკული დაყენება თანასწორობის და ძმობის იდეისა. რა უფრო შეეთანხმება ქრისტიანულ სწავლას? ძნელია კიდევაც სახარების მცნებათა არჩევნის მოხთენა იმისთვის, რომ ეს დავამტკიცოთ. სახარება გვასწავლის, რომ უფალნი უნდა იყენენ მონებად მათდა, რომელთაც ისინი ასწავლიან და რომელთაც ისინი პატრონობენ. ის ყველასთვის ერთ გვარ გზას ხსნის საზოგადო თანამდებობის მისაღებად. მკალესია ყოველთვის ამ ძირითად კანონს ადგა და დემოკრატია, რომელსაც ეგევე მოძღვრება შეჯეონდა სამოქალაქო წრეში, ბაძავდა მხოლოდ რელიგიოზურ საზოგადოებას. მრგვა უმთავრესი იდეათაგანი თანამედროვე დემოკრატიისა, რომელიც (იდეა) აძლევს მას (თანამედროვე დემოკრატიის) არსებობის და პატივისცემის უფლებას, არის იდეა — ძლიერი

მისწრაფებისა, რომ გააუმჯობესოს მდგომარეობა ხალხისა, დაბალი წოდებისა. ზანა ეს ზრუნვა უცხოა ქრისტიანობისათვის და ქრისტიანულ იდეისათვის? განა ის ეშინა-აღმდეგება სახარებას? უსათუოდ არა. აქაც შეგვიძლია გავიკირვოთ, რომ სხვა და სხვა რიგის ქრისტიანებმა დაკარგეს; ეგრე დიდი დრო და თავიანთ წიგნებში და თავიანთ გადმოცემებში ვერ შენიშნეს, რომ ქრისტიანობას ჰქონდა სოციალური მისია.

ზანა ეს ყოველთვის ასე იყო? ყოველ დროს, როგორც საშვალო საუკუნოებში, ეგრეთვე ახალ დროშიაც ეკკლესიაში იმყოფებოდნენ წმინდანები, რომელთაც ესმოდათ, რომ ქრისტიანობის მიზანი ამ ქვეყანაზე, რომელსაც ისინი უწოდებდნენ «ლელედ ცრემლო», მდგომარეობს მგლოვარეთ ნუგეშინის ცემაში, გაჭირვებულთა შეწევნაში, კაცობრიობის ზნეობრივ და ფიზიკურ წყლულზე მაღამოს დადებაში. ამისთვისაც ქრისტიანობის, განსაკუთრებით კატოლიკობის დიდებას შეადგენდა ქველმოქმედება.

არის კიდევ პრინციპი დემოკრატიისა, ერთი მისი ძირითად დებულებათაგანი, რომელიც პირველად შეიძლება გვეჩვენოს უფრო ძნელ შესარიგებლად ქრისტიანობის იდეასთან. მს არის ხალხის მეთაურობა. ზაღავიდეთ ახლა მასზედ. ხალხის მეთაურობა შეიძლება შევიგნოს სხვა და სხვა გვარად. მს ცნება ორაზროვანია, მიუხედავად ამისა ის პირდაპირი საწინააღმდეგო არ არის ქრისტიანობისა, რის გამო იგი ხშირად შეწყნარებულ იყო ქრისტიანეთა ეკკლესიებისგან, არა მხოლოდ ლუთანგების, არამედ კატოლიკეთა ეკკლესიისაგანაც. მას ადგილი ჰქონდა საშვალო საუკუნოებშიაც; დიდებული

მოძღვარი კატოლიკეთა ეკკლესიისა, თოშა აკვინატი იმდენად კეთილ განწყობილი იყო დემოკრატიისადმი, რომ ქრისტიანურ დემოკრატიის წარმომადგენ ელეგბი მის თხზულებიდგან *Summa theologiae* ადგენდნენ დემოკრატიის თეორიას.

განვიხილეთ რა მიზანი, მისწრაფება, უმთავრესნი მოთხოვნილებანი დემოკრატიისა, როგორც სჩანს, შეიძლება მისვლა იმ დასკვნამდის, რომ მის შორის და ქრისტიანობის შორის არ არის არა ვითარი პრინციპიალური უთანხმოება, არ არიან შეუთანხმებელნი შეხედულებანი. როგორც სჩანს, მართალნი არიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ხალხს შეუძლია განახორციელოს ყოველივე დემოკრატიული რეფორმები, არა თუ რჯულთან და ქრისტიანობრივ გადმოცემათა კავშირის განუწყვეტლად, არამედ პირიქით — რჯულის და ქრისტიანობის შემწეობით. ამას ფიქრობდნენ რევოლუციის დროსაც, და პაპები პიო IX და ლეონ XIII არ იყვნენ პირველნი იმ პაპებთა შორის, რომელნიც ამ აზრამდი მივიღნენ. მატოლიკებს აქვთ უფლება გაიხსენონ სამოძღრო ეპისტოლე 1797 წლისა კარდინალის ჩიარამონტის, რომელიც მაშინ იყო ეპისკოპოსი იმოლისა, და რომელიც ორი წლის შემდეგ გახდა პაპად პიო VIII-დ; ეს მომავალი პაპა უკვე მაშინ უმტკიცებდა თავისს სამწყსოს, რომ ეკკლესიის და დემოკრატიის შორის კავშირი — სრულიად ბუნებრივი საქმეა: «იყავით ყველანი ქრისტიანენი, ასრულებდა კარდინალი თავის ეპისტოლეს, და თქვენ იქმნებით წარჩინებულნი დემოკრატები».

III.

გაგრამ ამით თავს ნუ შოვიტყვილებთ, თუ სახეში მივიღებთ დემოკრატიის მისწრაფებას და მოთხოვნილებას, მის და ქრისტიანობის შორის წინააღმდეგობა არ იქნება, არ იქნება წინააღმდეგობა, თუ გინდ გამოვიყვლით დემოკრატიის ძირითადი კანონები და ხელმძღვანელი იდეები. ხოლო უნდა ვსთქვათ, რომ თუ ძირამდე ჩავყევით საკითხს, მაშინ შევნიშნავთ წინააღმდეგობას იმ ღონისძიებათა შორის, რომლებითაც ქრისტიანობა და დემოკრატია ახორციელებდენ თავიანთ მისწრაფებებს, იმ აზრთა და გრძნობათა შორის, რომლებითაც გამსჭვალულია თანამედროვე დემოკრატია. გაშინაც კი, როდესაც ევროპიულ დემოკრატიის მეთაურნი და ქრისტიანები, რომელნიც თავს დემოკრატებად სთვლიან, წარმოსოდენ ერთ და იმავე სახელებს და მოითხოვენ ერთს და იმავე საგნებს; ფურმა, რომელთაც ი'ინი ეძიებენ მათ, ერთ გვარი არ არის, აგრეთვე არ არის ერთგვარი მათი მოთხოვნილების ესიათი.

თანამედროვე დემოკრატიულ მოთხოვნილებას თან ახლავს რაღაც სისასტიკე, რაღაც თავხედობა, რაღაც უდევრობა, რაც არ ეთანხმება ქრისტიანულ სწავლას და რაც, უნდა გამოვტყვდეთ, ეწინააღმდეგება მას. განსაკუთრებით დამნაშავეა ამაში სოციალიზმი, კოლექტივიზმი, რასაც მე ქვემოდ ვაჩვენებ. აქა-იქ ევროპიულ დემოკრატიის და ქრისტიანობის მიმართულების შორის დღესაც არსებობს განხეთქილება და არ არის შეთანხმება. დემოკრატიის მოთხოვნილებათა თავი და ბოლო სულ სხვაა და ქრისტიანობისა სულ სხვა. ხან და ხან უთანხმება

არის პრინციპთა და სწავლათა შორისაც კი, რაღანც, ჩვენ არ უნდა დავიციწყოთ, რომ ეყრობიული დემოკრატია წარმოსდგა მეთვრამეტე საუკუნის რევოლუციისა-გან, რომ მან ბევრ შემთხვევაში დაიცვა ამ დედის გრძნობანი და ამ მამის სწავლა, და რომ, გავიმეორებ კიდევ ერთხელ, მეთვრამეტე საუკუნის სწავლა, ანუ სწავლა რევოლუციისა, არ იყო სწავლა ქრისტიანობისა, რომ ის იყო არსებითად რაციონალისტური და უარის მყოფელი გადმოცემისა და მტერი ქრისტიანული სწავლისა.

ავილოვ, მაგალითად, თანამედროვე დემოკრატიის ორი უმთავრესი იდეა, ერთი მათგანი — იდეა, უმთავრესად, ფილოსოფიური, ზნეობრივი, მეორე — შეგნება, უმთავრესად, პოლიტიკური, — ორი იდეა, რომელნიც უკიდურეს დემოკრატიისაგან აღყვანილ არიან დოლმატად და ორნივენი ერთად ნაანდერძევნი არიან მეთვრამეტე საუკუნისა და რევოლუციისაგან. მრთი არის — რწმენა, კაცის ბუნებრივ სიკეთისა; მეორე არის — ხალხის თაოსნობა. მი რწმენას, რომ კაცი ბუნებით კეთილი და შეუბლალავია, პირებთ მეთვრამეტე საუკუნის მთელ ფილოსოფიაში, განსაკუთრებით რესსოს ფილოსოფიაში, რომელიც ქრისტიანობას ეპყრობოდა დიდი კრძალულებით. ამ რწმენისანი არიან დღევანდლამდე დემოკრატიის უმთავრესობა, ანუ უკიდურესი დემოკრატიის მოთავენი, ისენიც კი, კინც მას ცხადად არ გამოთქვამენ, ცოტად თუ ბევრად მით არიან გაუღენთილი. მათთვის ამ გვარი რწმენა, თუ ფორმალური დოლმატი არა, რაღაც დაფარულ კეშმარიტებასავით მაინც არის.

მაგრამ ქრისტიანულია ის რწმენა, ვითომც კაცი ბუნებრივად კეოილია? ცხადია, არა; პირიქით, ეს რწმენა

წინააღმდეგია ქრისტიანობისა, ეს ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოლმატს პირველ კაცთა ცოდვაში შთავარდნაზე.

ის მარტო ქრისტიანობის წინააღმდეგი როდია; არა, ის ბევრით არ ეთანხმება იმასაც კი, რაც თანამედროვე მეცნიერებაში მიღებულია პირვანდელ ცოდვაზე მოძღვრების ნაცვლად; ე. ი. წინააღმდეგია ევოლუციისა, რომელიც სცდილობს დაამტკიცოს, რომ კაცი წარმოიშვა ცხოველისაგან, რაც ყოველთვის უნდა გვაფიქრებდეს, რომ კაცის ბუნებაში, რავლენადაც უნდა განკეთილ შობილებული იყვეს იგი, არ იჩინონ კვალად თავი პირუტყულმა გრძნობებშა. ის რწმენა ვითომ კაცის ბუნება დასაბამიდანვე შეუბლარავია, შეადგენს სოციალისტების „მრწამსის“ ერთ წევრთაგანს, ის ასეულდეგმულებს დემოკრატების უზრავლესობას და დემოკრატიულ მოთხოვნილებებს, მას მიყას ისანი იმ შეხელულებამდე, რომელსაც თქვენ შეამჩნევთ ბრძოთა ყველა მეთაურებს, ბრძებს, ბრმათა წინამძღვრებს, რომ კაცი არ სჭირდება არავითარი ლაგაში, ნამეტურ რელიგიოზური, რომ ზნეობრივი ბოროტება სრულიად არ არის დამოკიდებული კაცზედ და კაცის ბუნებაზედ, არამედ მარტო იდენ საზოგადოებაზედ და მის წეს-წყობილობაზედ. ბოროტება არის სოციალური მოვლენა, მაშასადამე, რომ დავთრგუნოთ იგი, საჭიროა მხოლოდ საზოგადოების გადაქმნა სხვა რიგად, საჭიროა მხოლოდ პირობების შეცვლა და მით ბოროტების ძირის გამოთხრა. აქ საჭიროა შევნიშნო: როდესაც მე მრწამს, რომ ბოროტება ადამიანის ბუნებაში მყოფია, ამით სრულიად არ უარ ვყოფიმას, რომ ხშირად ბოროტება ძლიერდება საზოგადოებ-

რივი პირობების ზედგავლენით, მაგრამ ის აზრი, რომ უმთავრესი მიზეზი ბოროტებისა იმყოფება საზოგადოებაში, მის დაწესებულებებში და კანონებში და არა ჩვენში, ადამიანის ბუნებაში, მე მიმაჩნია საშინელ და ძირითად შეცდომად. მს შეცდომა უძევს საფუძველად თანამედროვე დემოკრატიას, რითაც ის იმდენადვე ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლას და სარწმუნოებას, რავდენადაც ჰეშმარიტ ფილოსოფიას და მეცნიერებას.

მეორე იდეა ძვირფასი თანამედროვე დემოკრატიისათვის, მაგრამ ქრისტიანობასთან და საზოგადოდ რელიგიურ სარწმუნოებასთან შეურიგებელი არის დოლმატი ხალხის თაოსნობაზე. ხალხის თაოსნობა შეიძლება გავიგოთ სხვა და სხვა რიგად. თუ ხალხის თაოსნობად მიიჩნევენ იმას, რასაც დემოკრატიულ სახელმწიფოებში, და განსაკუთრებით რესპუბლიკებში, ეძახიან პოლიტიკურ უფლებას ხალხისაგან მიღებულს, იმ შემთხვევაში მეცვაცხადებ ჩემ თავს ხალხის თაოსნობის მომხრედ. მრამაგ საქე იმაშია, რომ ამ შემთხვევაშიაც ხალხის თაოსნობაზე ცნება შეიძლება მრავალ ნაირად განიმარტოს. ამის გამო ხალხის თაოსნობა არის ერთი ურთულესი და მეტად სახითათო იდეათაგანი, რომელიც გავრცელდა ჩვენში ასი წლის წინეთ. ის განიხილეს მრავალმა მწერლებმა და ყველაზე უკეთ კი ევგენი ეიხტალმა. ხალხის თაოსნობა თუ ჩვენ ვიგულისხმებთ მას ისე, როგორც გულისხმობს თანამედროვე დემოკრატია უმრავლესობა, გვიქადის ჩვენ ახალ სახის თვითმშეკრობელობას და უკიდურეს ძალმომრეობას, ძალმომრეობას უსახელოს და არა პასუხ-მგებელს.

თაოსნობა ხალხისა მის მომხრეთა უმრავლესობისათვის მდგომარეობას არა მხოლოდ იმაში, რომ ხალხია

დასაბამი ავტორიტეტისა, ის აწერს ხალხს, ე. ი. დროებითი უმრავლესობას და გაბატონებულ პარტიებს, შეუზღუდავ უფლებას. დემოკრატთა უმრავლესობის თვალში, როგორც რიცხვი ჰქმნის კანონს, რაცხვივე ჰქმნის უფლებასაც. უნდა შეურიგდეთ იმ აზრს, რომ რიცხვი ჰქმნის კანონს — ეს არის დემოკრატიულ რეჟიმის ერთი შედეგთაგანი, მაგრამ, რომ რიცხვი ჰქმნიდეს უფლებას ამის მიღება არ შეუძლია არც გონიერას, არც სანიღისს და არც რჯულს. მს ეგრეთვე ეწინააღმდეგება ქრისტიანობას და ყოველ რჯულს, როგორც ყოველ ფილოსოფიასაც.

ერთი საყვედური, რომელშიაც ჩვენ უნდა მივმართოთ უკიდურეს დემოკრატიას, ისაა, რომ მან გადასცა ხალხს წინანდელ მონარქთა თაოსნობა სავსეპით და განუსაზღვრელად, იმ გვარად, როგორადაც ის ესმოდათ და ასრულებდნენ ძველი დროის მცფენი. არა, ეს კიდევ ცოტაა, თანამედროვე დემოკრატიამ გადასცა მთავართა თაოსნობა ხალხს უფრო გაფართოვებული, უფრო შეუზღუდველი, უფრო შემაშთობელი, და მაშასადამე უფრო დამჩაგვრელი. მეფეებს, იმპერატორებს, მონარქებს თუმცა თავიანთ უფლებები მიაჩნდათ შემოუზღუდველად, მაგრამ ეს უფლებები მაინც იზღუდებოდნენ გადმოცემებით, დაწესებულებებით და სარწმუნოებით. ქრისტიანობა ჩასძახდა მთავრებს, იმპერატორებს, ანუ მეფეებს იმას, რაც, რასაკვირველია, ლაგმად საქმაო არ იყო, მაგრამ რაც მაინც ყოველ შემთხვევაში ლაგმავდა მათ და ამ ლაგმისაგან უძლიერესნი მათგანიც ვერ ბედავდნენ სრულიად განთავისუფლებას: შენ ზევით არის მსაჯული, არის უფალი, არის ღმერთი. თანამედროვე, ევროპიულ დემოკრატიას, გადააქცს რა თაოსნობა მონარქებისა ხალხ-

ზე, უფრო ხშირად უმეორებს მას მარშალ დე-კილლე-რუას სიტყვებს, რომელსაც ეუპნებოდა იგი მცირე წლოვან ლიუდოვიკ XV: „ხელმწიფევ! უველაფერი თქვენ ხელშია, თქვენი ნება—კანონია!“ თანამედროვე დემოკრატია არ ასწავლის ხალხს, რომ არის მასზედ დიდი მბრძანებელი, რომ არის ღმერთი, რომლის წინაშე იგეც პასუხის მგებულია.

პირიქით, უკიდურეს დემოკრატიის მეთაურნა აგონებენ ბრძოს, როგორც დეკიზს, ბლიანკის სიტყვებს: „არც ღმერთი და არც ბატონი“. ისინი არწმუნებენ მას, რომ ცნება ღვთისა არის მხოლოდ წინანდელ დროის კრუმორწმუნოება, მათ წარმოდგენილი ყავთ ღმერთი ზეციურ მონარქის სახით, რომლის დაცემა უნდა თან მოყვეს ქვეყნიურ მეფეების დამხობას. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანის აზრის განთავისუფლებისათვის საჭიროა გამოხსნა მისი ამ ძველ დროის უწყალო მბრძანებლისაგანო, რომელიც მეფობს ცათაშინა. შეუზღუდველი ხალხის თაოსნობა თუ არ აღმერთებს, ყოვლის შემძლებლად მაინც გამოყავს სახელმწიფო, რაც ცხადად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ გადმოცემას და რელიგიურ გრძნობას. ხალხის თაოსნობა იმ სახით, რომლითაც ჩვენ თავზე გვახვევენ ზოგიერთნი თანამედროვენი, მიმართულია აღსაღენად ძველი დროის სახელმწიფოსი, სადაც უფლება, imperium, როგორც დამტკიცა ფიუსტელ დე-კულანუმა, იყო შეუზღუდველი, ძველი დროის სახელმწიფოსი, რომელიც არ არჩევდა სასულაერო და საეროს, ურომლი-სოდაც შეუძლებელია ქეშმარიტი თავისუფლება პოლიტი-კური და რელიგიური. მართლაც იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში, ამა თუ იმ ეკკლესიაში, ქრისტია-

ნებს, როგორც სჩანს, სურდათ საერთ უფლების დათრ-
გუნვა ეკუჯესიურ ავტორიტეტის სასარგებლოდ; მაგრამ
ახლა შიში სხვა მძრიდან მოდის. არიან ფილოსოფოსნი,
არიან პოლიტიკოსნი, როგორც მაგალითად პიერ ლერუ
1848 წელში, რომელთაც უნდათ მისპონ ეს ორკეცობა
სულიერი და ხორციელი დასაბამისა, რათა გადასცენ
ყოველი პოლიტიკური და რელიგიური ავტორიტეტი—
საერთ უფლებას, დემოკრატიას, ხალხს, ე ი. რიცხვს.
ქრისტიანულ სინიდისის თავისუფლებას, რელიგიურ
სინიდის ამის გამო დიდი შიში მოელის. მას, შესაძლოა,
დაეკარგოს უძვირფასესი უფლება—ჯეროვანად ღვთის
სამსახური.

რწმენა, რომ კაცი ბუნებითად შეუბლალავია, და
ხალხის თაოსნობა შეუზღუდველია,—აი ორი იდეა, ორი
მტრის მეტად უპირატესი ცნება, რომელნიც ცხადად
ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობა და თანა მედროვე დემო-
კრატია მოუთავსებელნი არიან ერთი მეორესთან.

თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ ქრისტიანობის და დემო-
კრატიას შორის იყო ბევრი მიუჩვედრიბა, მაგრამ მაინც,
მათ შორის არსებული უთანხმოება არ შეიძლება ავხსნათ
მხოლოდ გაუგებრობით, ანუ ერთი მეორის უცოდინა-
რობით. მს არის შედეგი მიღებული დოკტრინებისა,
რომელთაც აღიარებს თანამედროვე დემოკრატია. მს
კეშმარიტება ჩვენთვის კიდევ უფრო ცხადი იქმნება
მაშინ, როცა შევეხებით სოციალიზმის, უკიდურეს დემო-
კრატიის ბუნებრივ გადაგვარებას. იძულებული შევი-
ქმნებით ვაღვიაროთ მოუსპობელი უთანხმოება ქრისტია-
ნობის და სოციალიზმის შორის, თანამედროვე კოლე-
კტივიზმის და რელიგიოზურ იდეებს შორის.

მაგრამ განა ერთად ერთი ფორმა დემოკრატიისა ეს არის? ვანა არ მოიპოვება დემოკრატია, რომელსაც არც სწავლით და არც პრინციპებით მტრული დამოკიდულება არ აქვს ქრისტიანობასთან?

ამ გვარი დემოკრატიის აღმოსაჩენად საჭირო არ არის მივმართოთ ოცნებას. საჭიროა მხოლოდ გადავიაროთ ოკენე; საჭიროა მხოლოდ ამერიკაში მისვლა. იქ შევხვდებით დემოკრატიას, რომელსაც არ აქვს არც ის გრძნობა, არც ის სიძულვილი, არც ის მიმართულება, როგორც ევროპიულ ჯემოკრატიას. ამაშია, როგორც მე ღრმას დარწმუნებული ვარ, მიზეზი, ანუ ერთი მიზეზთაგანი მისი უპირატესობისა. იმ საშვალებისა გამო, რომლითაც ის აღორძინდა, იმ წრისა გამო, რომელშიაც ის აღიზარდა, ის არ თვლიდა თავის მოვალეობად უარ ეყო ის, რაც შეადგენს ცივილიზაციის დიდებას და კაცის კეთილშობილებას, ის არ ცდილობდა დაემონავებია სინიდისი ანუ თანამედროვე კაცთა სული. მან შეიგნო, რომ დემოკრატიული რეჟიმი სხვაზე მეტად საჭიროებს რელიგიოზურ გრძნობას და უამისოდ შეუძლებელია ხალხის თავისუფლება; იმას აზრადაც არ მოსვლია არა-დეს გამოეცადებინა, რომ თავისს გასაძლიერებლად, ანუ ასაღ ურძნებლად საჭიროა ქრისტიანობის დათრგუვნა, ან, როგორც ჩვენში ამბობენ, ეგვენი: «არა არს ღმერთიო». პირიქით, ის აღიარებს, რომ მას დაბადებაზე და სახარებაზე ურო საიმედო წინამძლოლი არა ჰყავს და რომ მისი წარმატების და სიმუშიცის საუკეთესო თავდები არის რწმუნება ღვთისა. ეს განსხვავება ევროპის და ამერიკის შორის არ ახალია და მე ისე გულუბრყვილო არა ვარ, რომ ვიფიქრო, ვითომ მე აღმოვაჩინე ის. მაგრამ

რაც უფრო მეტად ვსწავლულობ ამერიკას, რაც მეტად ვაღარებ მას საფრანგეთს და ევროპას, მით უმეტეს განცვითრებაში მოვდივარ. მ' ყველამ კარგად იცის; შეიძლება ვთქვათ, რომ ტოკვილის დროიდგან ეს შენიშვნა შეიქმნა ხელწამოსაკრავი, მაგრამ რაც უნდა ხელწამოსაკრავი იყოს იგი, მაინც სამართლიანია და ყოველთვის, მეტადრე ახლა, ვინემ სხვა დროს, საჭიროა მისი გახსენება.

ნათქვამიდგან გამოდის დასკვნა, რომელსაც უნდა დავეთანხმოთ მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულობისა, ჩვენი რელიგიოზური რწმენისა, ჩვენი ფილოსოფიური მიმართულებისა. მე პირადად გულწრფელად უნდა გამოვტყდე: ვშიშობ, რომ ევროპიულ მა დემოკრატიამ, განსაკუთრებით საფრანგეთის დემოკრატიამ, რომელიც სპობს კავშირს ყოველ გაღმოცემასთან და წასრულის ყოველ რწმენასთან, რომელიც ცდილობს ძალათ ვააცალკეოს ზნეობრივი და სარწმუნოებრივი იდეა, რომლებიც იყვნენ შეკავშირებულნი და საუკუნოებით ერთად შექსოვილ — შეწნულნი და რომელიც მეცადინეობს ახალ სახელმწიფოთაგან განდევნოს ღმერთიც კი, როგორც მავნებელი ტირანი, ანუ დაბერებული აღმზრდელი, მე ვშიშობ, რომ ამ დემოკრატიამ საშინლად არ დახლართოს თავისი საქმე, არ გააძნელოს და არ გაამწვავოს ხალხის მართვის და ოღზრდის დიდი საქმე.

ქრისტიანობა და სოციალიზმი.

I.

აღვნიშნე რა უმთავრესი მიზეზი, რომლებიც იწვევენ თანამედროვე დემოკრატიის და ქრისტიანობის შორის თვალ საჩინო უთანხმოებას, მე მსურს მოკლედ განვიხილო ეგეოვე უთანხმოების მიზეზი ქრისტიანობის ტ სოციალიზმის შორის. სოციალიზმისა და ქრისტიანობის შორის უთანხმოება კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ამის მიზეზები უმთავრესად იგინივეა, რაც ზემოდ უკვე აღვნიშნეთ. პირველ ყოვლისა სოციალიზმიც ბევრ შემთხვევაში არის მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის შვილი; შეიძლი, რომელიც აღშფოთდა თავისს დედის წინააღმდეგ, რომელიც ებრძვის 1789 წლის პრინციპებს და მოქმედებს წინააღმდეგ რევოლუციის მასწავლებელადა და ხელმძღვანელ იდეებისა ყველა კით'ვაში, რაც შეეხება საკუთრებას, ანუ პიროვნების უფლებას **თუ** ავიღებთ იდეათა გვარტომობის მაჩვენებელ ხაზს, სოციალიზმი აღმოჩნდება მეთვრამეტე საუკუნის უმცროს შვილად, რომლის ბეჭედი მას დაღად აზის. როგორც მეთვრამეტე საუკუნე, როგორც რევოლუცია, რომელთაგანც ის წარმოსდგება, სოციალიზმი არსებით მეცნიერულია და მტერი გადმოცემისა.

მიუხედავად ამისა ადვილი შესამჩნევია სიახლოვე ქრისტიანობის და სოციალიზმის შორის, ისე როგორც დემოკრატიის და ქრისტიანობის შორის. რომ მათ ბევრ რამეში დიდი მსგავსებაა აქვთ, ამაზე დაობა ძნელია. სრული საბუთიანობით შეგვეძლია დავამტკიცოთ, როგორც ეს ნათქვამი გვაქვს ზემოთ დემოკრატიის შესახებ, რომ სოციალიზმის ულრჩესი ფესვები იმყოფებიან ქრისტიანულ სარწმუნოებაში, რომ ისინი გატარებულნი არიან სახარებაში და თუ კიდევ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით, დაბადებაშიაც და წინასწარმეტყველების წიგნებშიაც. ვინ არ იცის, რომ სახარება ნაკლები მოწყალებით უცქერის ამა სოფლის სიკეთის მფლობელებს; მდიდრების წინააღმდეგ სახარებაში ბევრი მკაცრი სიტყვები მოიპოვება, სიტყვები ხან და ხან იმდენად სასტიკნი, რომ შესაძლოა ფიცხელადაც მივიმჩნიოთ იგინი სიმდიდრის სიძულვილით, ანუ შიშით ისე ძლიერ შეპყრობილ იყვნენ პირველი დროის ქრისტიანები, რომ, თანახმად საქმე წმ. მოციქულთა მოთხრობისა, ყველა ღვთის მოშიში აძლევდა თავის ქონებას საზოგადო სასარგებლოდ თუ ავილებთ ძველი აღთქმის სახარებას, თუ გადავშლით წინასწარმეტყველების წიგნებს, ვიპოვით მათში თითქმის თანამედროვე მიმართულების სოციალურ მოთხოვნილებებს; ჩეენ აღმოვაჩენთ ებრაელ წინასწარმეტყველებთა შორის ცხადად მხედველებს, რომლებიც წარმოიდგენდნენ იდეალურ საზოგადოებას, ზოგიერთი მხრივ მაინც, ძლიერ მსგავსს იმისა, რომელზედაც ოცნებობენ თანამედროვე სოციალისტნი. ისრაელის წინასწარმეტყველნი ხშირად ემსგავსებოდნენ ხალხთა ინტერესების დამცველ სოციალისტებს, რომლებიც ხალხთა მოთხოვნილებას აყენებდნენ.

ნენ იეგოვას მფარველობის ქვეშ, (ეს აღნიშნეს ყველა იმ ჩვენმა თანამეტოვეებმა, რომელთაც შეუსწავლიათ ებრაელთა ხალხის ისტორია). მას ფაქტი კარგად აქვს გამოკვლეული რენანს და დუემს დარჩესტეტერს.

შეიძლება დაკეშმარიტებით თქმა, რომ იდეა სიციალურ სიმართლისა იმ აზრით, რომელსაც აძლევენ ამ სიტყვას ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე მწერალნი, პირველად გამოითქვა დაბადებაში წინასწარ-მეტყველებისავან, ებრაელებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის იდეა ებრაელებისა, იდეა იუდელთა ქრისტიანობისა; ეს იდეა სრულებით ეთანხმებოდა ებრაელთა მესსიურ მოლოდებას და, შეიძლება, პირველ ქრისტიანეთა ხილიაზმისაც (ხილიაზმი==სწავლა ქრისტეს ათასი წლის მეფობაზე ქვეყანაზე). მეტი ნაწილი წინასწარმეტყველთა ნაწერებისა არის დაწერილი მისი შთაგონებით. შეიძლება, სწორედ აქ იმალებოდეს ერთი მიზეზთაგანი, რომ ამდენ ებრაელებს და ქრისტიანებს იზიდავს სოციალიზმი. მიუხედავად ამისა სოციალიზმის და ქრისტიანობის შორის მაინც დიდი განსხვავებაა. მაშინაც კი, როცა მსგავსება მათ შორის ვითომდა ცხადია, მომატყუებელ გარეგნობის ქვეშ იმალება თვით უაღრესნი უთანხმოებანი. ეს უთანხმოებანი პირველ ყოვლისა არსებობენ თვით მათ მიმართულებაში. მას მიმართულება ერთ გვარა სოციალიზმშიაც და თანამედროვე დემოკრატიაშიაც. ავიღოთ სწავლა ქრისტიანობისა და თანამედროვე სოციალიზმისა; ისინი ყოველ მხრივ განსხვავდებან ერთი მეორისაგან,— შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთი მეორის მოპირდაპირენი არიან. ამას ამტკიცებს, თვით მათი ენა: ქრისტიანობა

ლაპარაკობს უმთავრესად მოვალეობაზედ, ხოლო სოციალიზმი—განსაკუთრებით უფლებებზე.

უთანხმოება სჩანს იმ მაგალითებიდანაც, რომლებითაც, ქრისტიანები და ქრისტიანეთა მწვალებელნი ფიქრობენ სოციალიზმის, პრაკტიკული კომუნიზმის ცხოვრებაში განხორციელებას. ბევრმა სცადა კომუნიზმის განხორციელება რელიგიური ფორმით. მე თვითონ ვეკუთნი იმ პირთა რიცხვს, რომელნიც ფიქრობენ, რომ კომუნიზმს არ შეუძლია სხვა-ფრივ განხორციელება, ნამეტურ ხანგრძლივ არსებობა, თუ არა სარწმუნოების მფარველობის ქვეშ. აიღეთ ის საზოგადოებანი, რომლებშიაც ცდილობდნენ განეხორციელებიათ რელიგიურ გრძნობის ჭერ ქვეშ სახე პრაკტიკული კომუნიზმისა; აიღეთ მონასტრები, რომლებიც მომეტებულ ნაწილად წარმოადგენენ პატარა კომუნისტურ სახელმწიფოებს და ჯერ-ჯერობით მარტოდ-მარტო მათ მოახერხეს კომუნიზმის გატარება კაცთა შორის: ნუ თუ იგეთი მიმართულებაა აქ, როგორიც აქვთ სოციალისტებს, კოლეგიტივისტებს, რომელნიც მოგვიწოდებენ ჩვენ—ქონება ამა ქვეყნისა გავასაზოგადოთ? არა, მიმართულება აქ, ცხადია, სულ სხვა არის.

რა საფუძველზეა დამყარებული საზოგადოდ რელიგიური სოციალიზმი, ანუ კომმუნიზმი? ის არის დამყარებული თავისი თავის უარის ყოფაზე, თავისი თავის მსხვერპლად გადადებაზე, ქვეყნიურ სიამოვნების არაფრად მიჩნევაზედ. ის მამანი და დედანი, რომლებიც ადგენენ კავშირს, რომ მათი შრომის ნაყოფი ეკუთნოდებს საზოგადოებას, წინ და წინ სდებენ სიღარიბის აღთქმას.

ამა თავის უარის ყოფის მიმართულების წყალობაა, რომ კომმუნისტური წეს-წყობილება ეგრე ხშირად ყვავის

მრავალ ქრისტიანულ და არა ქრისტიანულ ქვეყნებში, მონასტრებში და რელიგიოზურ ცხოვრებაში. მაგალითად, ავილოთ კაცი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა საეკულარისო ისტორიაში, კაცი წმიდა, რომელიც მის თანამედროვეთ მიაჩნდათ ქრისტეს მსგავსად და რომელიც ბევრ შემთხვევაში, შეიძლება, ცნობილ იქმნას დემოკრატიის და ქრისტიანულ სოციელიზმის ერთ ფორმათაგანის უწარჩინებულეს წარმომადგენელად, კაცი წმიდა, რომლის მაგალითმა და ქადაგებამ შეამზადა ფეოდალთა წესწყობილების დაცემა; მე მოგახსენებთ წმიდა ფრანცისკ ასსიზელზედ, რომელიც კაცობრიობის რელიგიური ისტორიის ერთი სასწაულთაგანია. წმიდა ფრანცისკმა, როგორც მას ქებით იხსენიებენ დანტეს ლექსები, აღირჩია თავისს სასძლოთ მჭლე სილარიბე, «რომელიც ქვრივად დარჩა» ქრისტეს სიკედილის შემდგომ. წმიდანის ქორწილი ამ ფერმჟრთალ მეგობართან დახატულია დუიოტოს მოწაფეების მიერ მისი საფლავის ქვაზე, რომელიც იმყოფება ასსიზის მღვიმეს ეკკლესიაში.

განა შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს ნამდვილად ის სასძლოა, რომელსაც თავს ევლებიან ჩვენი დროის სოციალისტები, კოლეგიტივისტები? ცხადია, არა. უნდა გამოვტყდე, რომ მე არ ვეკუთვნი იმ პირთა რიცხვს, რომლებიც უსაყვედურებენ სოციალისტებს, რომ მათ უყვართ არა სილარიბე, არამედ რაღაცა სხვა. მე პატივსა ვცემ, კრძალულებით ვეპურობი, მაკვირვებს ასკეტური მოღვაწეობა და თავის უარის ყოფა ისეთი კაცების, როგორიც არის წმიდა ფრანცისკი და მისი მოწაფეები, რომელთა მთელი ცხოვრება იყო უარის ყოფა სიმდიდრისა და დამაუძლურებელი ფუფუნებისა. მაგრამ მევე

პირველი ვალვიარებ, რომ შეუძლებელია მთელი კა-
ცობრიობისთვის ამ გვარი იდეალის ქაღაგება, რომ ქრი-
სტიანს უფლება აქვს თავისთვის აღირჩიოს სიღარიბე,
ოღონდ მას არ შეუძლია უეჭველად სხვასაც თავს მოა-
ხვიოს იგი. მაგრამ ქრისტიანობას და სოციალიზმს „შუა
უზის დიდი ზღვარი“. თანამედროვე სოციალისტებს თვა-
ლი ვერ მოუშორებიათ ამა ქვეყნის სიკეთისთვის, იმათ
სრულებითაც სასიქაღულოდ არ მიაჩნიათ თავის თავის
უარის ყოფა და სხვისთვის თავგანწირულება. პირიქით
მათ უყვართ აღვძრა, გაძლიერება ხალხში სიმდიდრის წყუ-
რებილისა, მათ შიათ და სწყურიათ ქვეყნიური სიკეთე.
ისინი შორს დგანან სახარების ნეტარებაზე. მათზე არაა
ნათქვამი: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა.“ საზო-
გადოდ აღსანიშნავია, რომ მათ ნაკლებ უკვირთ და
ნაკლებ სტკბებიან იესო ქრისტეს მიერ ცხრა ნეტარე-
ბაზე წარმოთქმულ როდვრებით. ამ გვარიად, ჩვენ ვხე-
დავთ, რომ იქაც კი, სადაც ჩვენ აღმოვაჩინეთ მსგავსე-
ბა ქრისტიანობის მისწრაფების და კოლლეკტივ-სოცია-
ლისტების მოთხოვნილებათა შორის, ყოველთვის სიღრ-
მეში არსებობს ძირითადი განსხვავება; აქ არის განსხვა-
ვება და ეს განსხვავება, ვიმეორებ ეხება, მიმართულებას,
სწავლას, გრძნობას. **განა** ყველა ქრისტიანისათვის, სა-
ხარების ყოველი მიმღევარისათვის სავალდებულოა ამა
ქვეყნის სიკეთის უარის ყოფა? არა; ქრისტიანებთ, გან-
საკუთრებით ჩვენ ღროს სრულებითაც არ ამკობთ ფრან-
ცისკ ასაიზელის მისტიური სიყვარული სიღარიბისადმი;
ქრისტიანეთა უმრავლესობას სწყურია თავისთვის და
თავისს მოძევთათვის მეტი კმაყოფილება, მეტი სიმ-
დიდრე, მეტი მოსვენება; ისინი მოწადინებული არიან

გაათავისუფლონ კაცობრიობა სიღარიბის დამჩაგვრელ უდლისაგან, მაგრამ ყველა ამას გამოხატავენ თავისებურად და სოციალისტების მიმართულებას არ წააგავს.

რაში მდგომარეობს ქრისტიანული სწავლა? რომ არა ვსთქვათ სწავლა რელიგიოზური? რა ნიშნებით ვცნობილობთ მას? შველგან, სადაც ის კიდევ არსებობს ქრისტიანული სწავლა არის სწავლა მშვიდობისა, სიყვარულისა, მოწყალებისა. ლეონ ტოლსტოის, მიუხედავად ყველა მისი უკიდურესობისა არ გაჭივრებია დაემტკიცებია, რომ ქრისტიანული სწავლა უარ ყოფს ძალადობას. „მშვიდობა თქვენთანა“, აი სიტყვები, რომლებიც ძლიერ ხშირად შეგვხვდება სახარებაში. მე მხედველობაში მაქვს, რომ „მშვიდობა თქვენთანა“ ეს იყო ებრაელების მისალმების გამოთქმა, აღმოსავლეთის ხალხების მისალმება, რომელიც ჯერაც დარჩენილია მაჰმადიანობაში. მაგრამ სახარებაში ქრისტეს ბაგით წარმოთქმულნი ეს სიტყვები მეტს ნიშნავენ, ვინემ ზრდილობის გამოთქმას. სურვილი „მშვიდობა თქვენთანა“ შეიძლება ჩავთვალოთ ქრისტიანობის და ქრისტიანულ სწავლის დევიზად, იმ გვარ წარმოთქმად, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას საქციელის კანონად. ჰეშმარიტი ქრისტიანებად უნდა ვსცნათ ის, შეიძლება, მეტად ცოტა პირნი, რომლებიც არ კმაყოფილდებიან მარტოლენ მიღებული წეს-ჩვეულებების აღსრულებით და სურთ განატარონ ცხოვრებაში სწავლა სახარებისა; ჰეშმარიტი მოწაფენი ქრისტესნი არიან ის ადამიანნი, რომელიც აღვსილ არიან მშვიდობის, სიყვარულის და მოწყალების სწავლით. რა გვარია სოციალური შეხედულება, საზოგადოებრივი იდეალი ამ ჰეშმარიტი ქრისტიანებისა? პირველად და უმთავრესად ეს

არის სოციალური მშვიდობა, მომასწავებელი სიყვარულისა და ძმობისა. მსაა მიზანი ქრისტიანულ მოლოდინისა, ქრისტიანულ ყველა კეშმარიტ მოძღვრებათა. შოველ ქრისტიანებს, რომელიც მოისურვებს იქონიოს გავლენა თავისი დროის საზოგადოებაზე, სახეში ექნება საზოგადოდ მშვიდობა, — მშვიდობა კაცთა შორის და მათ ჯგუფთა შორის, მშვიდობა ცალკე პირთა შორის, მშვიდობა ერთ და იმავე ქვეყნის მცხოვრებთა შორის, მშვიდობა სახელმწიფოთა, და ერთა შორის, — ეს დიადი და შორეული იდეალია, რომელიც დარჩება უცვლელ მიზნად ყველა კეშმარიტ ქრისტიანთათვის, იდეალი, რომელიც ამყარებს ამავე დროს მშვიდობას სოციალურ კლასთა შორისაც, რაც სრულებით ავიწყდებათ მშვიდობის თანამედროვე მოსარჩევებს.

მეტია იმის მტკიცება, რომ თუ სწავლა ქრისტიანობისა არის სწავლა მშვიდობისა, სწავლა თანამედროვე სოციალიზმისა სრულიადაც არ არის ეგეთივე. იქ, სადაც ქრისტიანობა, სადაც რჯული ქადაგებს სიყვარულს, ძმობას, მშვიდობას, — სოციალიზმი დღეს ქადაგებს ამის წინააღმრეგ სიძულვილს, ბრძოლას, ომს. ამ გვარად ვხედავთ, რომ აქ არა თუ განსხვავება, არამედ მტრობა და სრული უთანხმოება ქრისტიანობის და სოციალიზმის მიმართულებათა შორის.

თანამედროვე სოციალიზმი ქადაგებს კლასთა შორის საძულვილს, ანუ ბრძოლას, და ესეთი ქადაგება მიაჩნია მას თავისს პოლიტიკის მეთოდად. განა შეგვიძლია დავივიწყოთ სიტყვები დიდი სოციალისტ-არატორისა, რომელიც ხალხს მოუწოდებდა განმათავისუფლებელ სიძულვილისადმი, შემოქმედითი სიძულვილისადმი?

რა შშვენიერი რეცეპტია და საუცხოვო სოფიზმი! შე-
მოქმედებითი სიძულვილი! განმაოვისუფლებელი სიძუ-
ლვილი! ნაყოფის გამომღებია მხოლოდ სიყვარული, მხო-
ლოდ სიყვარული არის შემოქმედებითი ძალა. ჟოველშემთ-
ხვევაში ცხადია ის ფაქტი, რომთანამედროვე სოციალისტე-
ბს სწამთ თავისი უფლება, უმეტესად მათ სწამთ თავისი მო-
ვალეობა აღძრან სიძულვილი კლასთა შორის, აღძრან ხალ-
ხის გულისტქმა იმ კაცთა წინააღმდეგ, რომელნიც ეჩვენებათ
ბედისაგან უფრო დაჯილდოებულად. თუმცა სოცია-
ლისტები თავისს თავს სთვლიან ძმობის მოციქულებად,
მაგრამ მათი იდეალური ძმობა ეკუთვნის იგეთ შორეულ,
აზრით წარმოსადგენელ მომავალს, რომ კაცობრიობა,
შეიძლება სრულიადაც ვერ მოესწროს მას; და თავისს
ფიქრების განხორციელების მოლოდინში სოციალიზმის
უყირავს აღგილი იმ სწავლათა შორის, რომელნიც მე
მიმაჩნია სიძულვილის მოძლვებად.

სოციალიზმს სურს ააშფოთოს ხალკთა გულის თქმა-
ნი, ქრისტიანობას სურს დაამშვიდოს იგინი. **ამბობენ**,
რომ ქარიშხალის დროს ზღვაში, საკმაოა ხომალდმა და-
ასხას ზვირთებს რამოდენიმე ტონნი (ტონნა - 60 ფუთი)
ზეთი და ღელვა დამშვიდდებათ. მე ნებას მივსცემ ჩემ
თავს გადავიტანო ეს მაგალითი სარწმუნოებაზე; სოცია-
ლიზმის მოციქულთაგან განზრახ აღძრულ ხალხთა გულის
წყრომის ქარშიშხალის დასამშვიდებლად საკმაოა დავასხათ
ხალხს, ამღვრეულ სულებს რაოდენიმე წვეთი სახარების
მოწყალების ზეთისა. ამის აღსრულებას სცდილობენ სა-
ხარების სწავლით გამსჭვალულნი ქრისტიანები, და სა-
ხელდობრ ეს არის ერთი იმ საგანთაგანი, რომელიც ვერ

უპატივებია ქრისტიანებისთვის სოციალიზმის მეთაურთ. შეანასკნელთ უნდათ გაამწვავონ, გააძლიერონ სოციალური ქრილობანი და არა შეახვიონ. სოციალიზმის მეთაურები აყვედრიან ქრისტიანეთა სოციალოგებს, რომ ისინი ადგანან ლობიერ მეთოდს, ბრალსა სდებენ, რომ ისინი ქმნიან მორჩილ კაცებს. სოციალისტების მეთოდი ამ შემთხვევაში სრულებით წინააღმდეგი ხასიათისაა, ნაცვლად მშვიდობისა ისინი იწვევენ ყველას ბოროტებაზე, შურის ძიებაზე და სიძულვილზე. თუ სოციალიზმი აღიარებს ძმობას, სამაგიეროდ ერთსა და იგივე მამულის შვილთა შორის, ერთსა და იმავე ზეციური პამის ძეთა შორის ნამდვილ ძმობის ალაგზე აყენებს იმას, რასაც კოლეჯეტივიზმი უწოდებს პროლეტარიატთა სოლიდარობის გრძნობას და ეს გრძნობა კი ყველაფრით განსხვავდება, ყველაფრით წინააღმდეგია ქრისტიანული ძმობისა. მოწყველება უნდა შეეხებოდეს ყველა ჩვენ მსგავსს, ის უნდა ვრცელდებოდეს ყოველ ადამიანზე, როგორც ერთს უა იმავე მაშის შვილზე; პროლეტარიატის სოლიდარობის გრძნობა კი წინააღმდეგ ამისა, თუმცა ეხება ერთისა და იმავე ქვეყნის მცხოვრებთა დიდ ნაწალს, თუ გნებავთ უმრავლესობასაც, — მაგრამ მაინც თხრის ორმოს და აშენებს ზღუდეს პროლეტარიატსა და იმავე ქვეყნის სხვა კლასთა შორის. ამ გვარად ქრისტიანობისა და სოციალიზმის მოქმედების ღონის ძიებანი სრულებით ერთი მეორის წინააღმდეგი არიან. სოციალისტები, აღიარებენ რა კლასობრივ ინტერესებს, კლასობრივ სიძულვილს, უარყოფენ ქრისტიანულ ძმობას და ლმობიერებას; მათი ძმობა ეხება მხოლოდ იმათ თანამოაზრებს და იმათ მეგობრებს. სხვების შესახებ, იმათ

შესხებ, რომელნიც არ ეკუთვნიან პროლეტარიატს, რომელნიც არ ერწმუნებიან იმათ აზრებს და აღთქმას, რომელნიც მტკიცედ სდგანაან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, სოცილისტები გრძნობენ მხოლოდ მტრობას და სიძულვილს.

იმათ თვალში ქრისტიანობა და საზოგადოდ რელიგია არის განვებ შექმნილი სწავლა შეგნებულ პირთა ასალაგმაცად და ხალხის დასამონავებლად. ჩელიგია, ასწავლის რა მოთმინებას, ქადაგებს რა სიყვარულს და ყოველ კაცისადმი მოწყალებას, არის სწავლა დამაძინებელი, სწავლა ძილის მოგვრელი, რომელსაც მიზნად აქვს ხალხის გაბრუება. სარწმუნოება, შეატკობს რა ხალხთა უბედურებას, ცოტათ თუ ბევრათ აქარწყლებს ტანჯვათა სიმწვავეს და სწორედ ამაშია იგი დამნაშავე, სოციალისტების უმრავლესობის შეხედულებით. ქრისტიანობა რადგანც იგი ასუსტებს პროლეტარიატის უმრავლესობის ძალას და ხალხის აღშფოთების ენერგიას, სოციალისტების აზრით, შემცოდეა.

ნუ დავივიწყებთ ერთ პოეტ-სოციალისტის შემდეგ მეტაფორას (სიტყვას სხვა მნიშვნელობით წარმოთქმულს). მან უწოდა ერთხელ რელიგიას „ძველი გალობა და თუ არ ვსცდები, მან ეს შედარება ისესხა გენრის ჰეინესგან“. მას სწამდა, რომ ეს ძველი გალობა ოდესაც ტკბილ ნანინად ეჩვენებოდა ხალხთა სიყმაწვილეს, მაგრამ ის კი არ სჯეროდა, რომ მომწიფებული კაცობრიობა ყურს დაუგდებდა კიდევ ამ მოძველებულ სიმღერას. ჩელიგია-ში ნანინას მსგავსი, რაც კაცთა მწუხარებას აქარვებს და ტანჯვას ამსუბუქებს, შეადგენს ისეთ რამეს, რასაც სოციალისტები არასოდეს არ აპატივებენ რელიგიას, პი-

რიქით საზოგადოების განახლებისათვის სოციალისტებს საჭიროდ მიაჩნიათ, რაც შეიძლება ხელი შეუწყონ, რომ ხალხმა, ყველა კლასებმა ცხადად დაინახონ და არაოდეს არ დაივიწყონ უსამართლობანი, ანუ ბნელი მხარეები აჩვებული საზოგადოებისა. მათი შექედულებით რელიგია წარმოადგენს დამაძინებელ მოძღვრებას და მის დამაძინებელ ხმებს ყური არ უნდა უგდოს მხნე გონებამ; ესეც ცოტაა; სარწმუნოების გასაჩუმებლად ისინი მზათ არიან სრულებითაც განაძეონ იგი, ანუ აუკრან მას პირი. სოციალისტებს სურთ, რომ მშვიდობის და ლმობიერების გალობანი, რომლებიც აყუჩებენ ხალხთა ტანჯვას და სიძულვილს, შესცვალონ საომარ სიმღერებზე და სიძულვილის ამშლელ ხმაურობაზე, ისეთ ჰანგებზე, რომლების თავისთავად დაბადებენ ხალხში ულმობელ რისხვას და გაიწვევენ მას ბრძოლაში, რომ ხალხმა ძალით მოიპოვოს უფლებანი და ხელთ იგდოს სიმრიდრე.

ჭინაალმდევობა იმდენად დიდია, რომ ის სრულიად საკმარისია მებრძოლ სოციალიზმის და ქრისტიანობის შორის არსებული ჯუთანხმოების დასანახად; ეს უთანხმოება მისახვედრად ხდის იმ გარემოებას, თუ რ.ს.თვის გადუხვევენ ხოლმე ხან და ხან სოციალისტები სოციალურ კითხვებს და ერევიან პოლიტიკურ რელიგიოზურ დავაში, რომელიც აშორებს მათ უახლოვეს მიზნისაგან და აფერხებს მუშათა საკითხის გადაწყვეტას, რომელიც მათი შექედულობით არის ერთად ერთი მნიშვნელოვანი საგანი. ამას სჩადიან იმის გამო, რომ სოციალისტები ხედვენ ცკლესიაში, ქრისტიანობაში თვით რელიგიურ სწავლაში თავისს ოცნებათა და თავისუ საქმის განხორციელების დაბრკოლებას.

II.

ბაგრამ წინააღმდეგობა ეხება არა მარტო ამ ორ მხარეს, არა მარტო ტაქტიკაზე საკითხს, ის ძევს თვით საგნის სილრმეში, თვით აღნიშნულ მოძღვრებათა ძირში. ის დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის როგორ ესმის ცხოვ-რების დანიშნულება.

სოციალიზმს კანონიერად მოაქვს თავი, როგორც დოკტრინას, მას აქვს თავისი ფილოსოფია და პოლიტიკა. როგორი არის მასი ფილოსოფია? მს ფილოსოფია, რომელიც აძლევს მიმართულებას მთელ მის პოლიტიკას, ძირითად წინააღმდეგია ქრისტიანულ სარწმუნოებისა, რადგანც ის ცდილობს კაცობრიობას აზრები და იმედები ჩამოიყანოს ზეციდგან ქვეყანად.

აյ მაკონდება უკვდავი მხატვრის რაფაელის შესანიშნავი Stanzę, რომელშიც ხელოვნების საშვალებით წარმოდგენილია, პაპა იული II-ის სურალი, შემდგომ ლეონ XIII-საგან სიტყვებით გამოთქმული სახალხო ეპისტოლებში. მს აზრია შეთანხმება ცოდნისა და სარწმუნოებია, ცივილიზაციისა და ქრისტიანობისა. ბავიხ-სენოთ ვეებერთელი სურათი, რომელსაც ეწოდება „ათინის შეოლა“ და რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიის სიმპოლოს, ამ სურათის პირისპირ მოთავსებულია მეორე სურათი „დავა წმიდა საუფლო ძლვენზე“, რომელიც გამოხატავს ღვთისმეტყველებას. „ათინის შეოლაშ.“ პირველ ადგილზე მოჩანს ორი ფიგურა (ნაკვთი), ერთა, ეტყობა, პლატონისაა, მეორე არისტოტელისაა, ერთმა მათგანმა ასწია თათი მალლა და უჩვენებს ცაზე; მეორეს ძრას დაუშვია თითი და უჩვენებს დედა-მიწაზე; ასეთი საშვა-

ლებით სარგებლობს მხატვრობა, რომ თვალსაჩინოდ ჰყოს ფილოსოფიის სწავლანი. პლატონი უჩვენებს კაზე, არის-ტოტელი დედამიწაზე. მს ორი ფილოსოფოსი, შეგვიძლია, მივიღოთ სიმბოლოდ ქრისტიანობისა და სოციალიზმისა.

შრისტიანობა, საზოგადოდ რელიგია, გვითითებს კაზედ; ის იწვევს ადამიანთ, ერებს აღაპყრონ გული და გონება მაღლა, უხილავისადმი, იმისადმი, რა'აც ჩვენ ვეძახით საიქოს. სოციალიზმი, ნაცვლად ამისა, თავის მოვალეობად რაცხს დაახრევინოს ხალხთ თვალნი და გონებანი დაბლა, მიწაზე. ამა' სხადის ის შეგნებულად, გადაწყვეტით. სოციალიზმი რომ მატერიალისტურია, ანუ ის რომ უწოდებს თავის თავს პოზიტივისტს და უფრო ხშირად მომხრეა მატერიალიზმისა, ამას სხადის ის განძრახ, ამას სხადის იმიტომ, რომ სასარგებლოა მის-თვის. ის გრძნობს რომ მომხრეების საუკეთესო შესა-ძენად და მათზე სამუდამოდ უფლების შესარჩენად უკე-თესი საშვალებაა დაჯერო ყველა, რომ გარდა ქვეყ-ნიური ბეჭნიერებისა, ყაველი იმედი და მოლოდინი ფუჭი და ტყუვილია. ამ შემთხვევაში, როგორც ზოგიერთ სხვა-ში, შეიძვლება ითქვა', რომ სოციალიზმი არის სახე რელიგიისა, ანუ უკეთ რომ ესთქვათ, არის ანტირელიგია, რომლის პრინციპი და სწავლის საფუძველი რელიგიო-ზურ შეგნების არსების წინააღმდეგია, აღარაა ამიერითი-გან ქვეყნის იქით იმედი; იმედი ზეცაზე არის მხოლოდ ბავშური ოცნება, ან სათაკილო მიბირება; როგორც ცხოვრება, ეგრეთვე კაცის აზრი უნდა დარჩეს ამ ქვეყ-ნის არსებობის საზღვრებში. მრი, ხალხი სხვას აღარა-ფერს არ უნდა ელტოდეს, გარდა ამ ქვეყნიური თავისი მოქლე უამიერი არსებობის უკეთესად მოწყობისა. სო-

ციალიზმის უფრო ფიცხი მოციქულები, რომ შეეძლოთ, სიხარულით გააქრობდნენ ცაზე ვარსკვლავებს, ან სრულებით დაგვიმალავდნენ მათ, რომ მოწმედილ ზაფხულის ღამეში დაეშალათ კაცისთვის ფიქრი მომავალ დაუსრულებელ ცხოვრებაზე.

თუ ამ გვარად წარმოვიდგენთ სოციალიზმს, იგი არსებითად არის ხილიასტიური. მას აქვს თავისი სამოთხე. მას აქვს თავისი მომავალი იერუსალიმი, თავისი სანეტარო სახელმწიფო, რომელშიაც შევლენ რჩეულნი. მას არის მისი დოლმატი, რომლის დაცვასაც იგი ცდილობს; ეს არის მისი უმთავრესი დებულება და, როგორც რელიგიების უძრავლესობაში, ეს დოლმატი შეადგენს მის ძალას და იზიდავს მისკენ ახალ მოქცეულთა მრავალ რიცხვს. სოციალიზმს აქვს თავისი სამოთხე. სოციალისტები, არ კმაყიფილდებიან მით, რომ აღუთქვამენ ხალხს ამ სამოთხეს, წარმოუდგენენ მის მომავალ საკვირველებებს, რომელნიც აწერილ არიან მათი მოძღვარ-მასწავლებლების განცხადებებში, ისინი უჩვენებენ მას სრულიად ახლო; მათი აზრით მხალოდ საკმარის გაშვერა და ხელთ იგდებთ მას. მას სამოთხე სოციალიზმისა არის არსებითად ქვეყნიური; ეს არის სამოთხე, რომელიც უნდა განხორციელდეს ავ ქვეყანაზე მეკნიერებისა, კანონებისა და ქონების გასაზოგადოების საშვალებით; საჭიროა მხოლოდ სოციალისტებმა ჩაიგდონ ხელში უფლება, რომ ყველასთვის გაიღოს მათი სამოთხის კარები. მას მომავალი სამოთხე სოციალისტებს უნდათ აღაშენონ ამ ქვეყანაზე, რომელსაც ქრისტიანები დაუინებით უწოდებენ „ცრემლთა ღელეზ“. წარმოიდგინეთ, რა ძალა აქვს უბრალო გონიერებისთვის მარტო ამ

დაპირებას! ჩასაკვირველია, მეცადინეობა, რომ ქვეყანა შეიქმნეს სამოთხედ, მაღალი აზრი და კეთილშობილური იდეალია. ძაცის აზრის და იმედების შებოჭვა ამ ქვეყანასთან, რომელიც შეადგენს მის ხველრს, ჩამოშვება სამოთხისა ზეციდან ქვეყანად, შეიძლება გვეჩვენოს გამოცდილ და ბრძენ გონების საქმედ, მაგრამ განა ეს უტოპიური იდეალი არ არის? ნეტარების და უკვდავების მწყურვალე კაცის გულს ბევრნაირი საოცნებო წარმოდგენა აქვს სამოთხეზე, მაგრამ მათგან ყველაზე უფრო ზღაპრულად მეჩვენება ქვეყნიური სამოთხე, რომელსაც ალუთქვამენ თავის მოწაფეებს სოციალიზმის წინასწირებულები. ვაი, რომ დედა-მიწა არაოდეს არ გახდება სამოთხედ! ჩასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ უნდა ვსცლილობდეთ შევიტანოთ ქვეყნიურ ცოვრებაში მეტი სიყვარული, მეტი სიმართლე, მეტი მშვიდობა და ამიო მეტი ბედნერება, მაგრამ საუკუნოებიც რომ შევალიოთ ამ მეცადინეობას, სწორედ რომ ნაყოფიერიც იყოს ჩვენი შრომა, ჩვენ მხოლოდ შევამკირებთ კაცობრიობის ტანჯვას. მაგრამ მოსპობით კი ვერ მოვსპობთ მას. ჩვენ ვერ განვათავისუფლებთ კაცობრიობას მწუხარებათა და პოროტებათაგან, რომელნიც შეკავშირებულან მასთან ბუნებით, რომელთა მოულოდნელმა დანახვამ, როგორც გადმოქვცემს ბუღდაზე თქმულება, ჩაუნერვა გულში ინდოეთის ახალგაზრდა თავადს ქვეყნიურ ყოველგვარი სიხარულის სიძულვილი; ვერაოდეს ვერ განვთავისუფლდებით ავათმყოფობისაგან, მოხუცებულობისა და სიკვდილისაგან. მაშინაც კი, როდესაც მეცნიერება, რომლისაგანაც ჩვენი ურწმუნო საუკუნე მოელის ყოველგვარ სასწაულთ მოქმედებას, სძლევს ყოველ ნაირ

ავათმყოფობას; როდესაც ის, როგორც ჩვენ გვაიმედებს პასტერის სწავლულთა ინსტიტუტი, შეიძლებს სიბერის გაყმაწვილებას და არა თუ მარტო განაგრძობს, კიდევაც მისცემს მას ძალას და ჯანმრთელობას, როდესაც მეცნიერება მიაღწევს იმ გამოცდილებადმდე, რომ შეეძლოს მას დაატკბოს სიკვდილი, შეეძლოს განაქარვოს ყოველი შიში სულთბრძოლის უამისა და გვარგუნოს ის, რასაც რენანი უწოდებდა ბერძნულ ტერმინს *euthanasie* (სანატრელი სიკვდილი), მაინც კიდევ დარჩება ზეობრივი წვალება, მაინც კიდევ დარჩება გულის წუხილი, კიდევ იქნება განუკურნებელი და უნუგეშებელი ბოროტება: საუკუნოდ განშორება, საუკუნოდ დაკარგვა მათი, ვინც ჩვენ გვიყვარდა! მარტო ესეც საკმაო იქნება, რომ ყველა ამაღლებული სულისათვის მოშენოს სოციალისტების მომავალი სამოთხე და მისი პროზაიკული ბედნიერება.

შვეიცარ სამოთხეზე სიმღერა ნიშნავს კაცობრიობის მოტყუილებას; და კიდევ მეტსაც; ჩემი აზრით, როდესაც თქვენ ბედშავ კაცობრიობას ართმევთ უფლებას იფიქროს ზეციურ ახალ ცხოვრებაზე, მაშინ, როდესაც სივრცისა და უამთა უსაზღვროებასთან ერთად მეცნიერება უფენს ჩვენ გონებას დაუსრულებელ გარიზონტებს, ვიმეორებ, ჩემი აზრით, თქვენ ხელს კი არ უწყობთ კაცის ბედნიერებას, არამედ უფრო აღატაკებთ მის ქვეყნიურ ცხოვრებას ლაამახინჯებთ მის სულს.

სოციალისტები კაცეგორიულად უკრძალავენ მორწმუნებს, ანუ ფილოსოფოსებს, ქვეყნის გარეშე ყოველ იმედს უკრძალავენ იმ მოსაზრებებით, რომლებზედაც ეს-ეს იყო ვლაპარაკობდი, რომ დაბლა ჩამოიყვანონ და მით კაცთა მთელი ყურადღება, ყველა გრძნობები, ყველა

იმედები მიაქციონ დედა მიწაზედ, ქვეყნის ცხოვრებაზე
და იმ ბეღნიერებაზედ, რომელიც შეგვიძლია ხელთ-ვიგდოთ
და დავეპატრონოთ ამა არა ხანგრძლივ ქვეყნიურ არსე-
ბობის დროს. ასე, ცხადია მიხვედრილი მკვლევარისთვის,
რომ სოციალიზმისა და ქრისტიანობის შორის, კოლეე-
კივიზმისა და რელიგიის შორის არსებობს თვალ საჩინო
და შეურიგებელი განხეთქილება.

III.

მაგრამ არ შეიძლება სხვა სოციალიზმის წარმოდგე-
ნა? ანუ უკეთ, ორაზროვანი ტერმინები რომ არ ვიხმა-
როთ, არ შეიძლება შექმნა სხვაგვარი სოციალური სწავ-
ლისა, განახლების სხვა ნაირი მეთოდის, პროკრესის და
სიმართლის გავრცელების სხვა ღონისძიებისა, შექმნა
ჩვენი საზოგადოების განახლებისთვის მუშაობის სხვა ხასია-
თისა? განა არ ვიცნობთ ამ დიადი საქმის სოციალურ
განახლების მიციქულებს, რომლებიც არ უარ-ყოფენ
არც ღმერთს, არც სარწმუნოებას, მოუწოდებენ ყოველ
ზნეობრივ ჭალებს, სახარებას, რელიგიოზურ გრძნობას,
ღვთის სახელს? განა უკეთესი ქრისტიანები ამაზე
არ ცდილობენ? მართალია, რელიგია, ქრისტიანო-
ბა მიიწვევს კაცთა ზე ახილვად, რომ მას უყვარს ფსალ-
მუნთა მგალობელის სიტყვების განშეორება: „შენ-
დამი აღვიხილნენ თვალნი ჩემნი, რომელი დამკვიდრებულ
ხარ ცათა შინა“, მაგრამ ქრისტიანობას მაინც არაო-
დეს არ გარშემოუზღუდავს თავისი მეცადინეობა
საიქიოს ცხოვრებით. რელიგია და უწინარეს ყოვ-
ლისა ქრისტიანობა ყოველთვის ზრუნავდა აქაურ არ-

სებობისათვის, დედამიწაზე ცხოვრებისათვის. თუ განვიხილავთ ჩვენ შთამამავლობას და ავიღებთ პირველ დაწყებით ეკულესის, დავინახავთ, რომ პირველი ქრისტიანები აღგზნებულ იყვნენ კაცობრიობის განახლების გაბედული სურვილით; უსამართლობა იქნებოდა როგორც წინაპართა, ისე ქრისტიანობის შესახებ არ აღვიაროთ, რომ მიუხედავად ყოვლისა ეკულესიამ მაინც რაოდენადმდე ნაყოფი გამოიღო ამ საქმეში.

ეკულესის დასაწყისშევე ჩვენ ვ'ედავთ დიად იდეას, ლვთის სასუფევლის შესახებ მოძღვრებას. ქრისტიანებს უნდოდათ დაეარსებინათ სასუფეველი ლვთისა დედა მიწაზე. შესახებ ამ სასუფეველისა, რომელიც ხშირად იხსენება სახარებაში, სხვა და სხვა დროს ჰქონიათ სულ სხვა და სხვა აზრი. როგორც სჩანს, დავიწყებულია, რომ ძველად ქრისტიანთა დიდ ნაწილს ეს სასუფეველი ლვთისა წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ქვეყნიური. დღეს კი თითქმის ყველგან, ყველა რიგის ქრისტიანებმა ხელახლად დაიწყეს ამაზედ ფიქრი. პტლანტიის ოკეანეს ორივე ნაპირზე იმ ერთა შორის, რომლებიც თავის მოვალეობად სთვლიან დაემყარონ სახარებდს დიდებულ გადმოცემაზე, თვითოვეული მორწმუნე ჰკითხავს თავის თავს, ნუ თუ რელიგიის მისია იმაში არ მდგომარეობს, რომ პირველ ქრისტიანთა რწმენის თანახმად, ჩვენც ვიღვაწოთ კაცთა შორის ლვთის სასუფეველის მოსულისათვის. ან კი როგორ არ უნდა ჰქონდეთ ქრისტიანებს, ჩვენი საზოგადოების მღელვარებისა და მისწრაფების მხედველთ, ეს კეთილშობილური ზრუნვა? როგორ დარჩებიან ისინი არა მისი თანამოზიარენი, როდესაც ლოცვაში რომელსაც ყოველ დღე იმეორებენ ქრისტეს მოწაფენი, ყოველ

დღე სთხოვენ ზეციერ მამას: „მოვედინ სუფევა შენი“! როგორი სუფევა? სუფევა ლვთისა, ესე იგი სასუფეველი სიყვარულისა, სასუფეველი სიმართლისა, სასუფეველი მშვიდობისა და მმობისა. მგეთია ქრისტიანული იდეალი.

დიადი იდეალია, ძველი, სოციალური და მასთან ერთად რელიგიოზურია იგი. ამ იდეალს სკეპტიკები უსა-მართლოდ დასკინოდნენ, რადგანაც მის განსახორციე-ლებლად რელიგიოზურ სწავლას აქვს ძლიერი საშვალე-ბანი: სარწმუნოება, თავის უარყოფა, თავგანწირულება, რომლებიც ხშირად აკლიათ მის მოწინააღმდეგებს, გან-საკუთრებით კოლლეგიტივისტებს.

მე გვათავებ იმ გვარივე ფიქრებით, რომლებამდი-ნაც მიმიუვანა დემოკრატიამ. მე ვფიქრობ, რომ სუკუ-ლიზმს იგრვე დამოკიდებულება აქვს რელიგიასთან, რო-გორიც თანამედროვე დემოკრატიას ქრისტიანობასთან. რჯულზე უარის ყოფით, ქრისტიანულ გადმოცემაზე ხე-ლის აღებით და მეცადინეობით, რომ მომავალ სახელ-მწიფოდგან სრულიად განდევნილ იქმნას ღმერთი, კოლ-ლეკტივიზმი, ნაცვლად გაადვილებისა უფრო იძნელებს ნაკისრ საქმეს. ძოლლეკტივიზმი საქმით ნამდვილი უტო-პისტია და ფიქრით კი ფიქრობს, რომ პრაკტიკულ და რეალურ მოძღვრებას ვადგევარო.

თავიანთ თუნებათა განსახორციელებლად სოცია-ლისტებს სჭირდებათ ისეთი იარაღი, რომელსაც უნდა შე-ეძლოს კაცის გულის და ბუნების გადაკეთება, ამ გვარ სასწაულებრივ იარაღს მათ მისცემდა რელიგია, მაგრამ ისი-ნი უარ-ყოფენ სარწმუნოებას.

უარყოფა ლვთისა, განდევნა ზეციური სამშობლოსი და ქრისტიანულ ძმობის იდეისა იმ მიზეზით, რომ უკუ-

აგდონ უველა შეტაფიზიკური და საღვთისმეტყველო დებულებანი, ეს ნიშნავს კაცისა და კაცობრიობის უმჯობესად გადაკეთების საქმის ხელის მოკიდებას კი არა, ეს ნიშნავს თვით პიროვნების განვითარების უძლიერეს საშვალების უარყოფას და, შეიძლება, კაცთა საზოგადოებების უზაგრესი ცემენტის დარღვევასაც. მისთვის, ვინც ფიქრობს თანამედროვე ხალხების სოციალურ სიმართლის შორეულ აღთქმის ქვეყანაში შეყვანას, მარტო მეცნიერების აღმოჩენანი არ იქნებიან საკმაონი; მისთვის კანონის ძალა და ავტორიტეტი ცოტა იქნება, მისთვის საქმარისი არ იქნება უფლების და სიმდიდრის შეძენა, მისთვის უველა ამაგბზე მეტია საჭირო: მისთვის საჭიროა ზნეობრივი ძალა, რომელსაც შეუძლია განამტკიცოს სინიდისი და დაუკავშიროს სული სულს, აი ეს აკლიათ სოციალისტებს. უველაზე უფრო ხშირად ისინი ივიწყებენ ზნეობრივ ძალებს, როგორც ზოგიერთი მათგანი უკანასკნელ დროში გულახდილად გამოტყდნენ ამაში. თავიანთ წინასწარმეტყველის მარქსის მაგალითისამებრ თანამედროვე კოლლეკტივიზმი კმაყოფილდება მით, რასაც ეწოდება ეკონომიური მატერიალიზმი. თუ ზოგიერთა მოსაზრებით, როგორც ზევით ვსთქვით შეიძლება კოლლექტივიზმს დავარქვათ რელიგია, ანუ ანტირელიგია, საჭიროა ამასთანავე გვახსოვდეს, რომ ეს რელიგია მატერიალისტურია. ძოლლეკტივიზმს არ ეშინია წინააღმდეგი გაუხდეს კაცის სულის უკეთილ-შობილეს გრძნობებს და უმაღლეს მისწრაფებებს. ამაში იმყოფება მისი ძალა, ამაშივე, შეიძლება, იმყოფებოდეს მისი სისუსტეც და ბოლოს ეს დასცემს მას. აი, რის

გამო არ შემიძლია ვიწამო სოციალიზმის საბოლაო გა-
მარჯვება.

სოციალიზმი ძლიერია ბრძოლაში, მძლავრია დამ-
ხობაში; მაგრამ ვეჭვობ, რომ მას შეეძლოს მსგავსივე
შემოქმედება. მას შეუძლია შეირყიოს თანამედროვე სა-
ზოგადოების საფუძველნი; მას შესწევს იმოდენი ძალა,
რომ, შეიძლება, ოდესმე სულაც დაამხოს იგი; მაგრამ
ვეჭვობ, რომ ამ ნანგრევებზე მან შესძლოს ახალი საზო-
გადოების, თავისუფალის და სიმართლის სახელმწიფოს
დაფუძნება, ვინაიდგან, რომ რაიმე მტკიცედ და მაგრად
დააფუძნო, უნდა გქონდეს ზნეობრივი ძალა, და უწი-
ნარეს ყოვლისა ის ზნეობრივი ძალა, რომელსაც წარ-
მოადგენს სარწმუნოებრივი გრძნობა. მხლაც და წინე-
თაც, მომავალშიც და წასრულშიც სარწმუნოება რჩება
კაცთა საზოგადოებების ერთად ერთ შეუმუსრველ სა-
ფუძველად და თუ ამ საფუძველმა იწყო ოდესმე დარ-
ღვევა, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ იქმნება სახეირო
არც თავისუფლებისა, არც ძმობისა და არც სიმართლი-
სათვის.